წელიწადი მესამე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 19 ივნისი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 22

## ჟურნალის შინაარსი

მეთაური—ახალი ავანტიურის სამზადისი; ძველი მუშის ხმა—**თეოფილე შენგელია**; ქართველი ქალი ქართველ ქალებს — **ოლღა კვიკვიძე**; როგორ არ ვიტიროთ? — **ლ. კუპრაშვილი**; ჩვენი მოვალეობა— **ივ. გომართელი**; რა ქნას საქართველომ—**ლეო შენგელაია**; ახალი ინტრიგების ქსელი—**ს. ელიაძე**; ინგლისთან დამოკიდებულების შეწყვეტა და მისი სამეურნეო შედეგები—**ი. ნარსია**; წერილი თომა შრომელაძეს—**გ. სოფლიშვილი**; ვინ უმაგრებდა ზურგს შუბლმაგართ—**უშანგი ჯაში**; პეიზაჟი—ლექსი—**გ. ქუჩიშვილი**; ახალგაზრდა სოც. ინტერნაციონალი და ჟურნალ „ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი“-ს კალმოსნები—**ა. ჩაჩუა**; ცოტა რამ ზოგიერთი „კლუბების“ შესახებ—**შოთა გოგუა**; მოწოდება.

# ახალი ავანტიურის სამზადისი

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ჩვენ ვსწერდით:— „ურწმუნო თომების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ჟორდანიასა და რამიშვილის პროვოკატორულ წერილებს ნაწილობრივ მაინც ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ მახლობელ ნომერში გამოვაქვეყნებთ. მაგრამ, რომ ვინმეს იჭვი შეუვიდეს ამ დოკუმენტების სინამდვილეში, ჩვენ ვეცდებით მკითხველებს მათი ფოტოგრაფიული ასლი მივაწოდოთ“.

დღეს ვასრულებთ დანაპირებს. მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველებს გავუზიაროთ ის თითქმის დაუძლეველი წინააღმდეგობა, რომელიც წინ გველობება ამ საქმის ასრულების დროს. საქმე იმაშია, რომ ჟორდანიას წერილის ფოტოგრაფიით გადაღება ყოვლად შეუძლებელი შეიქნა. ეს წერილი, რომელიც მიმართულია „აბესალომ პრაგელისადმი“ და შეიცავს ზოგად დებულებებს რაც უნდა შეესრულებია ამ უკანასკნელს საქართველოში, დაწერილია ვარდისფერ ქაღალდზე იისფერი ფანქრით. ყველა ფოტოგრაფებმა კარგად იციან და, ეტყობა, წერილის ავტორსაც ჩინებულად ცოდნია, რომ ასეთი ნაწერის ფოტოგრაფიულად გადაღება შეუძლებელია. ფოტოგრაფიის ფირფიტზე (ნეგატივი) ჩვენ მივიღეთ ნაწერის ერთობ მქრალი გამოხატულება, რომელშიც მხოლოდ აქა-იქ შეიძლება სიტყვებისა და ფრაზების ამოკითხვა, მაგრამ მისი ლითონზე მოჭრა და შემდეგ ქაღალდზე დაბეჭდვა ყოვლად შეუძლებელი ხდება.

ამ მიზეზების გამო ჩვენ ვერ ვახერხებთ ნოე ჟორდანიას წერილის ფოტოგრაფიის დაბეჭდვას, და სხვა დოკუმენტიც რომ ასეთი ხერხით ყოფილიყო დაწერილი, თქვენი მტერია. ჩვენ ჩვენს დაპირებას ვერ შევასრულებდით, რითაც ჩვენი ურწმუნო თომების გულს დიდათ გავახარებდით.

მაგრამ აქ ნოე რამიშვილმა გვიხსნა გაჭირვებიდან. ის ხომ ყოველთვის გამბედავი იყო... თუ მტერი ახლოს არ ეგულებოდა.. პოლიტიკაშიც ის ხომ უებარი დიპლომატია: რაც ენაზე მოადგება იმას ზეპირად როშავს. ის არც ამ შემთხვევაში ღალატობს თავის ჩვეულებას. და მისი წერილი, რომელსაც სახელად იმავე „აბესალომის საყურადღებოდ“ ქვია და რომელიც ნოე ჟორდანიას წერილის დამატებასა და კომენტარიებს წარმოადგენს, დაწერილია მელნით, კარგ ქაღალდზე. ხელმოწერილი კი ქიმიური ფანქარით არის, მაგრამ ყოველი ამისი ფოტოგრაფიულად გადაღება და მისი გაზეთში დაბეჭდვა, როგორც მკითხველიც ხედავს, შესაძლებელი შეიქნა.

ჩვენ აქ ვბეჭდავთ ამ ყველაზე უფრო საყურადღებო დოკუმენტის **მხოლოდ** უფრო თვალსაჩინო ადგილებს. ამ შემთხვევაში ჩვენ ორის მოსაზრებით ვხელმძღვანელობთ: პირველი ის რომ ეს ყოვლად ბოროტი ეპისტოლე სრულიად შემთხვევით ვერ მიიღეს ნოე რამიშვილის მომხრეებმა, თუ კი მას ჩვენში ასეთები კი გააჩნია. მისი სრულად დაბეჭდვა კი ჩვენის მხრით იმას ედარებოდა, რომ ჩვენ ეს წერილი გაგვევრცელებია და მით ნოე რამიშვილის ბოროტ საქმეში მონაწილეობა მიგვეღო. ჩვენ კი ამის სურვილი არა გვაქვს. მეორე მოსაზრება კი წმინდა ტეხნიკურია: ნოე რამიშვილის წერილის მთელი ტექსტი რომ ფოტოგრაფიულად გადაგვეცა მკითხველებისათვის, ამიტომ ჩვენი ჟურნალის ცხრა გვერდი უნდა მიგვეძღვნა. ეს კი შეუძლებელია და თანაც არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს.

სწორედ ამ მიზეზით ჩვენ აქ ვერ ვიძლევით ფოტოგრაფიულად **ნ.** ჟორდანიას წერილს. მოგვყავს მხოლოდ მისი ზოგადი შინაარსი და ნოე რამიშვილის წერილის რამდენიმე ადგილი და მისი ბოლო ნაწილი ავტორის ხელის მოწერით.

დავიწყოთ ნოე ჟორდანიას წერილით.

ის დაწერილია მიმდინარე წლის აპრილის 4 რიცხვს. მთელი მისი შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა კავშირს ევროპის სახელმწიფოებთან და კერძოთ ინგლისთან გართულება უხდება. მას, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლებას, უნდა აუჯანყდენ: მასში შემავალი ერები, მხედრობა და სხვა. ის შეიძლება აფეთქდეს თვით პარტიაში უკმაყოფილებით და სხვა. ასეთ დროისთვის ნოე ჟორდანია აბესალომ პრაგელს აძლევს შემდეგ დავალებებს:

„პირველი არის საქართველოში საინფორმაციო ბიუროს მოწყობა, რომელმაც უნდა აგროვოს და უგზავნოს

მას ყოველგვარი ცნობები საქართველოდან. ეს ცნობები გადაეცემა იმ სააკენტო კომისიას, რომელსაც აარსებს ინტერნაციონალი“...

მეორე დავალება პარტიულ-პოლიტიკურია. აქედან ვტყობილობთ რომ „მთელს საბჭოთა ტერიტორიაზე მხოლოდ ს.-დ. პარტიას შეუნახავს თავისი თავი და დაუყენებია ხალხი თავის გავლენის ქვეშ. ის გადაქცეულა ერის მთავარ საბრძოლველ საშუალებათ, ერთად-ერთ ხერხემლად, რომლის გარეშეც ასხმულია ხალხის სულიერი სიმტკიცე. ს.-დ. პარტია არის პროლეტარული და ნაციონალური ორგანიზაცია“.

ემისარ აბესალომს ევალება:

„პარტიის რიგების და მთლიანობის დაცვა. მისგან ყველა საეჭვო ელემენტების მოკვეთა და ერთ—მებრძოლ ერთეულად თავის პოსტზე დგომა“.

აი მათავარი პარტიული დავალება.

მესამე დავალება ტაქტიკურ-პოლიტიკურია. ნ. ჟორდანია პარტიას მთავარ მიზნად უსახავს: „დარაზმულად შეხვდეს მიმდინარე მომენტს და ასევე დარაზმულად შეახვედროს მას ხალხი“.

თუ საბჭოთა კავშირს რაიმე გართულება მოუხდა, სულ ერთია იქნება ეს შინაური თუ გარეშე, „ასეთ პირობებში ს.-დ. პარტიის ვალია მხარი დაუჭიროს იმ ძალებს, რომელნიც დაუპირდაპირდება მოსკოვსა და მის ბატონობას და შეეცდება ეს მოძრაობა მიიყვანოს ლოღიკურ დასკვნამდე, საქართველოსა და მთელი კავკასიის მოსკოვიდან ჩამოშორებასა და ადგილობრივ სუვერენულ მმართველობის შედგენაზე“.

თუ რუსეთში ეროვნული მოძრაობა დაიწყება: „ასეთ პირობებში ჩვენი პარტია (სოციალ-დემოკრატია) გამოდის მეთაურად ნაციონალური მოძრაობისა და უცხადებს აშკარა ბრძოლას ყველა მოსკოვურ იმპერიალისტურ ელემენტებს, არის ეს ბრბო, თუ რუსეთის ოფიცრები და ჯარის ნაწილები“..

გულახდილობაც ასეთი უნდა. როგორ გონია მოქ. ჟორდანიას: რა თვალით უნდა შეხედოს ამის შემდეგ ხელისუფლებამ ქართველ ხალხს, თუ, რა თქმა უნდა, იმან ჟორდანიას თვალსაზრისით იხელმძღვანელა? ყოველ შემთხვევაში, მოქ. ჟორდანიას ასეთი ეპისტოლე ისეთ ატმოსფერას ქმნის, რომ შეუძლებელია ხელისუფლებამ ნდობით შეხედოს ხალხს. ამ შემთხვევაში ერთად-ერთი სანუგეშო ის არის, რომ ყველამ იცის, რომ ჟორდანია-რამიშვილებს დღეს არაფერი არა აქვთ საერთო ქართველ ხალხთან.

როგორც ვთქვით ნოე ჟორდანიას ეპისტოლე დაწერილია 4 აპრილს, მაშინ როცა საბჭოთა კავშირს და ინგლის შორის გართულება არ იყო უაღრეს წერტილამდე მისული, ამიტომაც ამ დოკუმენტებს უფრო თეორეტიული სახელმძღვანელოს ხასიათი აქვს. საქმის პრაქტიკულად მოწყობას ავტორი რამიშვილს ანდობს. თავის ემისარს წერილის ბოლოში ეუბნება: „დანარჩენს ნოე რამიშვილი გეტყვისო“. ეს უკანასკნელი კი როგორც მკითხველიც ხედავს მეტის-მეტ აქტივობას იჩენს.

ნოე რამიშვილი თავის ეპისტოლეს ასე იწყებს:

„თუ ბოლშევიზმის დაცემა შინაგანმა კრიზისმა გამოიწვია, დაუყოვნებლივ უნდა დავეპატრონოთ სახელმწიფო ძალა-უფლებას. ბოლშევიკები შევიპყროთ და აღვადგინოთ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ამავე დროს უნდა დავეხმაროთ აზერბეიჯანის ერს და მთიულებს აღადგინონ და დაიმკვიდრონ დამოუკიდებელი რესპუბლიკები“.

„აქედანვე უნდა მოვახდინოთ მოხალისეთა ჩუმი აღრიცხვა. ამისთვის სრულიად არ არის საჭირო მათი თავმოყრა და მათგან ნებართვის მიღება, არამედ ვარაუდათ და ზედმეტ სახელის წოდებით საიდუმლოთ აღწერა. ეს განსაკუთრებით საჭიროა თბილისში, სადაც უნდა ვიყოლიოთ საკმაო ძალა“.



რამიშვილის ეპისტოლეს ეს მუხლი ყველაზე უფრო ჯოჯოხეთურია. არავინ არ გკითხავს თანაუგრძნობ თუ არა ბოროტი სულების მიზნებს. შენს დაუკითხავად სრულიად საიდუმლოდ აგიყვანებენ აღრიცხვაზე. და თუ მთავრობამ ეს აღრიცხვის სია ხელში ჩაიგდო, ვინ დაგიჯერებს, რომ შენ აქ არაფერ შუაში ხარ, რომ შენ რამიშვილის აგენტებმა გაგაბეს მახეში... ამ რიგად მოქალაქეთა სისხლი დაიღვრება და შემდეგ ნოე ჟორდანია მით ანუგეშებს ქართველ ხალხს, რომ მთელი ევროპის სიმპატია შენსკენ არისო...

მაგრამ დავუბრუნდეთ ნ. რამიშვილის ჯოჯოხეთურ ეპისტოლეს:

„დროებითი მმართველობამ, რომლის თავმჯდომარეთ აუცილებლად ჩვენი პარტიის წარმომადგენელი უნდა იქნეს, უნდა განაცხადოს თავიდანვე, რომ ერის წარმომადგენელია უცხოეთში გახიზნული ნოე ჟორდანიას მთავრობა და რომ დროებითი მმართველობა მაშინვე გადადგება, როცა საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩნდება ეს მთავრობა ან მისი რომელიმე წევრი“.

[illegible]

აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება: ნოე რამიშვილის ინსტრუქციით ამ ბუტაფორულმა დროებითმა მთავრობამ თავისი უფლებები უნდა დაუთმოს არა მარტო მასავით ბუტაფორულ ნოე ჟორდანიას მთავრობას, არამედ ამ „მთავრობის“ ერთ წევრსაც. ნეტა ვინ იქნება ეს „ერთი წევრი?“ დიდი ნიჭი არ არის საჭირო იმის გამოსაცნობათ, რომ ეს ერთი წევრი იქნება თვითონ ნოე რამიშვილი, რომელიც, როგორც წარსულ აგვისტოს ავანტიურის დროს, საქართველოს საზღვრებზე იქნება დამალული და თუ მისი ბუტაფორული პლანები განხორციელდა, პირველი შებრძანდება საქართველოში.. აქედან ცხადია, რომ ნოე რამიშვილი დიქტატორობის როლში გამოსვლას ფიქრობს.

რა ეხარჯება? მისი ავანტიურით დალუპულებს რომის პაპისა და კენტენბერის მთავარ ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევაც ეყოფათ.

„ჩვენ არ შეგვიძლია ხალხს მოვუწოდოთ დეზერტირობისაკენ,—ეს იქნებოდა დაშნაკური ტაქტიკა. მაგრამ საქმისთვის უმჯობესია, რომ აქტიური ელემენტები მაინც ომში არ გავიდოდენ, თუ კი ეს მოხერხდება და დიდ რეპრესიებს არ გამოიწვევს..

ასეთ დარიგებებს იძლევა ნოე რამიშვილი და შემდეგ გვატყობინებს, რომ ქართული ემიგრაცია სულ ერთიანად მოშლილია. მოუსმინოთ თვითონ რამიშვილს:

„ჩვენ ახალი მტერი გაგვიჩნდა: ეს არის ფაშისტთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობენ: სპირიდონ კედია, ალექსანდრე ასათიანი, ლეო კერესელიძე, გენერალი კვინიტაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, კოტე ჩომახიძე (ყოფილი ს.-ფედერალისტი) და მიხაკო წერეთლი; პოლონეთში—გენერალი ჩხეიძე და პოლკოვნიკი (ინჟენერი) კანდელაკი. მათ აიყოლიეს ეროვნულ დემოკრატების მიმდევნი ახალგაზრდობა და მიზნად დაისახეს ჩვენი პარტიისა და სოციალისტების დასამარება“.

ემისარს ევალება საქართველოში გააჩაღოს აგიტაცია ამ ჯგუფის წინააღმდეგ:

„ლეგალური და სხვა გზით ფაშისტებმა და მათმა მიმდევრებმა თავიანთ ნაცნობ - მეგობარ-ნათესავებიდან უნდა გაიგონ წერილების მეოხებით, რომ მთელი ერი აღშფოთებულია ფაშისტთა მიერ ეროვნული ფრონტის დარღვევით. მათ მიერ ეროვნული მთავრობის უარყოფით“.

„რომ უფრო ჩავფუშოთ ავანტიურისტთა გეგმა, აუცილებელია შევქმნათ დამოუკიდებლობის (ან განმათავისუფლებელი) კომიტეტი სამი პარტიისაგან: ნ.-დ. პარტია. ს.-ფედერალისტებისა და მთლიანი ფრონტის მომხრე ეროვნული-დემოკრატების (ამირეჯიბ-გვაზავას ჯგუფი); სხვა პარტიები არ არსებობენ, განსაკუთრებით „სხიველები“ და ისინი არ უნდა გავბეროთ“.

ყველაზე კურიოზული ის არის, რომ ნოე რამიშვილი თავის ემისარს დავალებას აძლევს ნაციონალურ-დემოკრატების პარტიის არ არსებული ცენტრალური კომიტეტი ს.-დ. პარტიამ უნდა შექმნასო:

„ჩვენის ცნობით ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მეტად სუსტია; მას ცენტრალური კომიტეტი არა ყავს; საჭიროა მისი ცენტრი შეიქმნას და უკანასკნელმა ზურგი გაუმაგროს ამირაჯიბსა და გვაზავას“.

[illegible]

ნოე რამიშვილისაგან ერთ სრულიად ახალ ამბავსაც ვტყობილობთ:

„იქონიეთ სახეში, რომ ჩვენ ინგლისის ელჩის საშუალებით დაკავშირებული ვართ პირდაპირ კონტებერის არქიეპისკოპოსთან, ხოლო რომში პაპთან გვყავს განსაკუთრებული წარმომადგენელი ივანიცკი (რ. ინგილო). ხმები მოდის, რომ ჩვენი ეკლესიის მეთაურები ფიქრობენ რომთან უნიას. ყოველ შემთხვევაში უნდა მოგვაწოდოთ ყოველნაირი ცნობა რაც ეკლესიის შეეხება. ევროპაში ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს“.



აქედან აშკარაა, რომ ჟორდანია-რამიშვილს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ სოციალიზმთან. ქართველი მუშების ის ნაწილი, რომელიც ჯერ ვერ შერიგებოდენ ამ აზრს, ამის შემდეგ მაინც გაიგებენ, რომ ოდესღაც მარქსიზმის მოციქული ნოე ჟორდანია დღეს კენტერბერიის არქიეპისკოპოზის და რომის პაპიდან ელის ქვეყნის ხსნას.

ევოლიუციაც ასეთი უნდა!

ასეთია ის დოკუმენტები, რომლის გაცნობაც ჩვენ მკითხველებს აღუთქვით.

კომენტარიები?

კომენტარიები მეტად მიგვაჩნია. ვიტყვით მხოლოდ, რომ ჟორდანია-რამიშვილის ეს ავანტიურა ასჯერ უფრო საშინელია, ვიდრე 1924 წლის აგვისტოს ავანტიურა იყო... მხოლოდ მით ვართ ბედნიერი, რომ დღეს ქართველმა ხალხმა ეს იცის და მაშასადამე შეუძლია მის წინააღმდეგ ზომები მიიღოს, მაშინ, როცა აგვისტოს ავანტიურა მას სრულიად მოულოდნელად მოახვიეს თავზე..

ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ქართველი ხალხის ყველა ფენები. საქართველოს ყოველი კუთხე, ღირსეულად დააფასებენ ამ საშინელ პროვოკაციის ავტორების ბნელ საქმეებს.

# ძველი მუშის ხმა

საბჭოთა კავშირის ათასის წლობით განაწამები მშრომელი მასსა კვლავ დადგა ომის საფრთხის წინაშე.

ბებერ „ალბიონს“ კონსერვატიული მთავრობის სახით სულიერი სწორწონაობა დაეკარგა მას ისტორიულად აქვს შეთვისებული ზვიადი აზრი მსოფლიოს ჰეგემონობისა. მას აღმოსავლეთის წითელი ვარსკვლავი, რომელიც მსოფლიოს პროლეტარიატს თავისი მომავალი ბედნიერების წინამორბედად ევლინება, გონებას უკარგავს, ცოფსა ჰგვრის და ერთხელ კიდევ აცდევინებს თავის ბედსა და იღბალს, რათა ახალი პლანეტის სფეროშიაც, რომელშიდაც მოქცეულია მსოფლიოს მშრომელთა უმეტესი ნაწილი. აღმოსავლეთის ჩაგრულ ერებთან ერთად, შეიჭრას და დაშალოს პროლეტარული სისტემა...

ამიტომაა, რომ ის გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ყოველ ახალ მოვლენას, აწყობს პროვოკაციებს მსოფლიოს ყოველ კუთხეში და იარაღად ხმარობს საზიზღარ ტერორებს ჩვენ შორის და ჩვენს გარშემო. არ ერიდება არავითარ ბინძურსა და არაადამიანურ საშუალებებს, ოღონდ კი დააბნელოს წითელი ვარსკვლავის ბრწყინვალება...

აშკარაა, ბებერი „ალბიონი“ მარტო ვერ გაბედავს ჩვენთან ბრძოლას, რადგან მას საკუთარი ძალ-ღონე საგრძნობლად აქვს მოდუნებული და ბებერივე კბილები დაბლაგული. მასა და ყველა მის მოძმე ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს არც თავის საკუთარ სახლში აქვთ კარგი საქმე. მათ კარგა ხნია მუშტი მოუღირა და ომი გამოუცხადა თვითონ საკუთარი ქვეყნების პროლეტარიატმა... ინგლისი დღეს იმ მგელსა ჰგავს, რომელმაც ყველა მოიმდურა, და განსჯა - განკითხვის დროს ვერსად ჰპოვა თავშესაფარი. აღმოსავლეთში მან ის ორმო ამოთხარა, რომელიც მომავალში მასვე ექცევა სამარედ..., მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ გულ-ხელ-დაკრეფილი ვიქნეთ და ვუყუროთ თუ როდის ამოხდება მას სული, ის ჯერ კიდევ ძლიერია. ბებერი „ალბიონი“ ყოველ ღონესა და საშუალებას იხმარს მრავალ მილიარდებს დახარჯავს იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მეტი მომხრეები იშოვნოს და ჩვენ დაგვამარცხოს. ფულს ბევრი რამ სასწაულის მოხდენა შეუძლია.

თუ ვინა ჰყავს და მომავალშიაც ვინ შერჩება მას მეგობარ-მოკავშირედ, ეს ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ: ეს ყველა ისინია, ვინც წინად სხვების ზურგზე იჯდა და პარპაშობდა და დღეს კი დაუდგა დღე აღსასრულისა... მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ყველაზე უფრო გვაინტერესებს საკითხი, თუ როგორ უდგება დღევანდელ გართულებულ პერიოდში საქმეს ქართველი ხალხი. მისი ყველა ფენები: მუშები, გლეხები და ინტელიგენცია. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ჩვენში იყვენ უკმაყოფილო ელემენტები. ზოგი ჟორდანია-რამიშვილის „მთავრობის“ ხანგრძლივი „მოღვაწეობით“ მონაკლულები, ზოგი იმავე ბოროტი სულების მიერ წარსულ ავანტიურაში ჩათრეულები და დამარცხებულები. იყვენ ისეთებიც, რომლებმაც რევოლიუციასთან ერთად დაჰკარგეს თავისი ლატიფუნდიები და სოციალური უპირატესობები. მაგრამ აშკარაა ისიც, რომ დღეს, სახელმწიფო აღმშენებლობის უდიდეს პერიოდში, ქართველი ხალხი ჩვენ, რა თქმა უნდა სახეში არა გვყავს ერთეულები და შეიძლება ათეულებიც, — იარაღით ხელში დაიცავს თავისი საბჭოთა საქართველოს.

ჩვენ ხმა მაღლა ვაცხადებთ, რომ წავიდა ის დრო, როცა ჩვენი ხალხის უკმაყოფილო ელემენტები ევროპისაკენ იხედებოდენ, როცა ისინი მოელოდენ ჟორდანიას რჩევა - დარიგებას. ტყუილად გონია ქართველი ხალხის ამ ბოროტ აულს, რომ დღესაც ისე ძველებურად უსმენენ

მას, ჩვენ, ქართველმა მუშებმა თვითონ შევქმენით ევროპაში მოპირდაპირე ლიდერები. ნუ გონია მათ, რომ ჩვენ მონურად დავემორჩილებით მათ პროვოკატორულ ზრახვებს. ნუ გონია მათ, რომ ჩვენ ჩვენი საკუთარი თავი, ჩვენი საკუთარი აზრი არა გვაქვს. ჩვენ გვჯერა, ჩვენ უკვე ვიწამეთ, რომ საქართველოს ბედი და იღბალი მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა სისტემაში იჭედება.

მაშ იცოდენ რამიშვილებმა, რომ საბჭოთა სისტემის დაუღალავი დამცველები თვითონ ჩვენ, ქართველი მუშები და გლეხები ვართ; იცოდენ მათ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებასთან მებრძოლებს ჩვენთან ექნებათ საქმე, ქართველ გლეხებთან, ქართველ მუშებთან, სწორედ იმათთან, რომლებმაც შექმნეს რამიშვილები..

თუ დღეს ეს ჩვენი ქვეყნის ბოროტ სულებათ გადაქცეულები არ შესდგებიან, თუ ისინი კიდევ გაუბედავენ ხალხს სისხლის მორევში ჩათრევას, ჩვენ მათ დაუხვდებით ჩაქუჩებით ხელში, ჩვენ მათ მივაგებებთ მთელს ჩვენს რისხვას რომლის ძალასაც ისინი კარგად იცნობენ.

მე მათ ვეუბნები:

შესდეგით, ქართველ ხალხის დამღუპველებო! მოასვენეთ ხალხი, ნუ უშლით მას ხელს მშვიდობიან შრომაში. ნუ ღუპავთ მას. ნუ ხდით მას თქვენი ჟინის მოსაკლავ საგნად ეყოფა მას რაც თქვენ აგვისტოს დღეებში თავს დაატეხეთ.

მოისვენეთ და მოასვენეთ ხალხი!

თეოფილე შენგელია.

# ქართველი ქალი ქართველ ქალებს

რუსეთის ტერიტორიაზე უკვე ათი წელია რაც არსებობს მუშური და გლეხური ხელისუფლება, რომელიც ევროპის ბურჟუაზიას ვერ მოუნელებია და ამიტომ მიმართავს სხვადასხვა ხრიკებს.

რუსეთი, რომელიც შეადგენს დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილს, მთელს მსოფლიოში სამაგალითო გახდა მშრომელი ხალხისათვის. ამ გარემოებამ ძალიან დააფიქრა ბურჟუაზიული ქვეყნები, გაბატონებული კლასები. მათ კარგად იციან, რომ საბჭოთა კავშირის არსებობა მათ სიკვდილს უქადის. ამიტომ ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ალყა შემოარტყან საბჭოთა კავშირს, რომ იქედან არ გადავიდეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში რევოლიუციის ცეცხლი.

დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის ხელმძღვანელები მთელი თავისი ძალღონით ცდილობენ განამარტოვონ საბჭოთა კავშირი, ჩამოაცალონ მას ყველა, გადაამტერონ ყველა მეზობლები და ძალით ჩაითრიონ უმაგალითო ომის ცეცხლში.

ჩვენ იჭვი არა გვაქვს, რომ ინგლისის და საერთოდ მსოფლიო იმპერიალიზმი ვერ მიაღწევს თავის შავ მიზნებს, საბჭოთა პროლეტარიატი და საერთოდ მშრომელთა მასები მარტოდ-მარტო არ დარჩებიან მათთან ბრძოლაში. ევროპის იმპერიალიზმმა უნდა იცოდეს, რომ მას თავის საკუთარ სახლში, თავის საკუთარ სახელმწიფოებში ჰყავს მისი მესაფლავე ევროპის პროლეტარიატის სახით.

მაშასადამე, ჩვენ ვერ შეგვაშინებს ინგლისისა და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების ქადილი.

მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელსაც არ შეიძლება ჩვენ ქართველებმა და კერძოთ ქართველმა ქალებმა ანგარიში არ გაუწიოთ და მთელის ჩვენის ძალ-ღონით არ შევებრძოლოთ. ეს არის ქართული ემიგრაციის ლიდერების ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის ახალი პროვოკაცია, რომელიც სისხლის აბანოს უმზადებს ქართველ ხალხს, ჩვენს ძმებს, შვილებს, მამებს..

დღეს ქართველი ქალი მხნეთ უნდა იდგეს ერის სადარაჯოზე, დღეს მისი ვალია შეიჭრეს იგი ყოველ სახლში, ყოველ ქოხში, ყოველგან, სადაც კი ქართველი მშრომელი ცხოვრობს და ამხილოს მან მომავალი საშიშროება.

რაშია საქმე?

ამ დღეებში დააპატიმრეს ჟორდანია-რამიშვილის მიერ წარმოგზავნილი ემისარი, რომელსაც, როგორც მასთან ერთად დაპატიმრებულ დოკუმენტებიდან სჩანს, დავალებული ჰქონდა შეედგინა აქ ჩვენში საშინელი აგვისტოს შემდეგ კარგად ცნობილი პარიტეტული კომიტეტი. ამ კომიტეტს უნდა მოეხდინა აჯანყება, აერჩია დროებითი მთავრობა, გამოეცხადებია დეკლარაცია და სხვადასხვა.

აქედან აშკარაა, რომ ჟორდანია-რამიშვილი ახალ ავანტიურას უმზადებენ ქართველ ხალხს, კიდევ ცდილობენ მისი სისხლის დაღვრას.

ხალხი, მშრომელი ქართველი ხალხი, რომელიც ცნობილია თავისი სწორი პოლიტიკური ალღოთი, ქართველი ხალხი, რომელმაც უკვე გაუცნო გემო ჟორდანია-რამიშვილის დამღუპველ პროვოკაციას, ქართველი ხალხი, რომელიც ძალზედ დაჭიმული მუშაობს სახელმწიფო აღმშენებლობის ფრონტზე საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით, არ გაებმება მისი მოსისხლე მტრების წამოსროლილ მახეში. ის ღირსეულ პასუხს გასცემს ამ ავანტიურისტებს.

მაგრამ, ჩვენი, ქართველი ქალების ვალია მედგრად ვიდგეთ თავის სადარაჯოზე. ჩვენ უნდა ვეცადოთ არ მივსცეთ ავანტიურისტებს არც ერთი ქართველი ახალგაზრდა, ჩვენი ვალია დავიცვათ ავანტიურისტების ხელიდან გზა-დაბნეულები, თუ ჩვენ ასეთები მოგვევლინება..

ქართველო ქალო! შენ ყოველთვის, ისტორიის ყველა პერიოდში, იდექი ქვეყნის მხსნელებთა პირველ რიგებში. დღეს უდიდეს ბოროტებას უმზადებენ ქართველ ხალხს, შენს ქმრებს, შვილებს, ძმებს.

შენ ასეთ დროს არ შეგიძლია გაჩუმებული, გულხელ დაკრეფილი იდგე, დღეს ისტორიული მომენტი მოითხოვს შენს აქტივობას.

ხმა ამოიღე, ქართველო ქალო!

ოლგა კვიკვიძე.

# როგორ არ ვიტიროთ?

სული სწუხს, გული სტირის, სასოწარკვეთილებაში ვარდები, იმიტომ რომ ხალხს: ჩვენს შვილებს, ძმებს, დებს უბედურება უნდა დაატეხონ თავზე. ამას გრძნობ, ამას აშკარად ხედავ და თანაც იცი, რომ უძლური ხარ ყველა დააჯერო შენს სიმართლეში და ქვეყნის მტერთა სიმუხთლეში.

ლამის სასოწარკვეთილებას მიეცე, სრულიად გეკარგება სულის სიმშვიდე. ქვეყნის წყეულ შვილებს სურთ ხალხი სისხლში ააცურონ, ქვეყანას ცეცხლი წაუკიდონ და მერე რისთვის!? საქართველოსთვის ბოროტ სულად მოვლენილ ჟორდანია-რამიშვილის გაბოროტებული გულის მოსაფხანად, მათ კვლავ გასამინისტრებლად! მერე საჭიროა ეს, ქართველი ხალხისთვის? ბოლოს და ბოლოს სულ ერთი არ არის ჩვენთვის თუ ვინ იქნება მინისტრების სავარძელში? ყოველი მთავრობა იმდენად უნდა დავაფასოთ, რამდენადაც ის აძლევს ხალხს რეალურ სარგებლობას, რამდენადაც ეხმარება მის სუვერენობას, მის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

საქმე პიროვნებაში ხომ არ არის. საქმე იმაშია თუ ვინ რას აკეთებს, ვინ რა გააკეთა მუშათა კლასისა და საერთო მშრომლებისთვის, მათი აწმყო და მომავლისათვის, რა გააკეთა და რას აკეთებს სოციალიზმისთვის.

ჩვენ საკმაოდ გავეცანით კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას საქართველოში ამ ექვსი წლის განმავლობაში და კარგად შევიგნეთ, რომ ის პროვოკაციული ჭორები, რომელსაც კომუნისტების მიმართ ავრცელებდნენ არ გამართლდა. ჩვენ ჩვენის თვალით ვხედავთ იმ ყველასთვის

აშკარა ფაქტს, რომ რამიშვილების მიერ მიჰორებულ ნგრევის მაგიერ კომუნისტები აშენებენ ჩვენს ქვეყანას, აშენებენ მისი დამოუკიდებლობის ურყევ საძირკვლებს. ელექტროფიკაცია დღეს ყველასათვის აშკარა და თვალსაჩინო ფაქტია,—მაზე ლაპარაკი არ არის საჭირო. უდიდესი ყურადღება ქვს მიქცეული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. უდიდესი მუშაობა სწარმოებს სასოფლომეურნეობაში. კეთდება რკინის გზები და გზა-ტკეცილები; გაჰყავთ სარწყავი არხები, აშრობენ ჭაობებს, რითაც აფართოებენ და ადიდებენ მეურნეობისათვის გამოსადეგარი მიწის რაოდენობას. ერთი-ორად წაიწია წინ სწავლა განათლების საქმემ;ქართული წიგნი საზღაპროდ გაიზარდა, როგორც რაოდენობით, ისე შინაარსის მხრით... თან და თან ბოლო ელება ნაციონალურ შუღლს; დღეს საქართველოში მობინადრე ყველა ერები დაჭიმულის ძარღვებით შებმიან საერთო უღელს, ერთმანეთის ხოცვა ჟლეტვის ნაცვლად, ისინი საერთო ძალით მუშაობენ საერთო სამშობლოს ასაყვავებლად...

ვინ შვრება ყველა ამას? ვისი ხელმძღვანელობით სწარმოებს ყველა ეს ტიტანიური მუშაობა? ყოველი ეს სწარმოებს კომუნისტური პარტიისა და მისი ხელისუფლების ხელმძღვანელობით. ხალხი, ერთ დროს რამიშვილების მიერ მოწამლული, დარწმუნდა ხელისუფლების ასეთ პოლიტიკაში; მან თავისი საკუთარის თვალებით დაინახა თავისი საკუთარი ცხოვრების სინამდვილე: ზურგი აბრუნა რამიშვილების პროვოკაციას და მთელის თავისი ძალ-ღონით შეება თვისი საკუთარი ქვეყნის აღმშენებლობის უღელში... მას, ქართველ მშრომელ ხალხს დღეს სწყურია მყუდრო შრომა, მყუდრო ცხოვრება... მაგრამ სწორედ ამ დროს მსოფლიო რეაქცია თავს ესხმის საკავშირო საბჭოებს და უნდათ თავს მოახვიოს მას ომი და მით ხელი შეუშალოს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას.

საბჭოთა კავშირს ვერაგულად დაესხენ თავს პეკინში, ლონდონში, მოჰკლეს ამხ. ვოიკოვი ვარშავში.

ყველა ეს ომის გამომწვევი მიზეზებია. და აი სწორედ ამ დროს, როცა პროლეტარულ სახელმწიფოს ირგვლივ რეაქციონური ვეშაპები თავს იყრიან, მის თავისუფლების ჩაყლაპვას ლამობენ, ქართველი ემიგრაცია ურჩევს ქართველ ხალხს, ამ პროლეტარულ რესპუბლიკების კავშირების წინააღმდეგ დაშნაკცაკუნური მოღალატეობა ჩაიდინოს, მას ზურგში ლახვარი ჩასცეს და მით სოციალისტურ სახელმწიფოს ხელი შეუშალოს ევროპის ბურჟუაზიულ ვეშაპებთან ბრძოლაში.

ჩვენ ვყვირით ხმა მაღლა, ყველას გასაგონად, რომ ქართველი ხალხის საბჭოების წინააღმდეგ აჯანყება, რისთვისაც მას კვლავ მოუწოდებს ემიგრაციის ლიდერები ნოე ჟორდანია და ნოე რამიშვილი იქნება მორიგი დაშნაკცაკანური პროვოკაცია, რამაც სავსებით გაანადგურა 3 ნახევარი. მილიონიანი სომხის ხალხი ოსმალეთის ტერიტორიაზე.

ასეთი პროვოკაცია ერთხელ უკვე მოუწყვეს ჩვენ ხალხს 1924 წ., აგვისტოში, რამაც დიდი მსხვერპლი მოითხოვა ჩვენი ხალხისაგან. ასეთი, ათჯერ და ასჯერ უფრო საშინელი პროვოკაცია კვლავ უნდათ მოახვიონ თავზედ ქართველ ხალხს ამ მსოფლიო გართულების დროს და მით განადგურებამდე მიიყვანონ იგი.

ზიზღი და კიდევ ზიზღი ქართველი ხალხის სისხლით მოთამაშეებს!

ჩვენ იარაღით ხელში უნდა მივიჭრეთ საკავშირო რესპუბლიკების იმ კუთხეში, საიდანაც საფრთხე მოადგება ჩვენს კავშირს და თავგანწირვით ვიბრძოლოთ რევოლიუციის მონაპოვართა დ ხალხის გადასარჩენად.

აი ერთად-ერთი პასუხი, რომლითაც უნდა უპასუხოს ქართველმა ხალხმა ჟორდანია-რამიშვილის ყოვლად შეუწყნარებელ „მოწოდებას“.

ლ. კუპრაშვილი.

# ჩვენი მოვალეობა

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ,რაც მთელი მსოფლიოს ბატონი ბურჟუაზია იყო.

ბურჟუაზიის ხელში იყო ძალა-უფლება, ის ჰქმნიდა როგორც პოლიტიკას, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებასაც.

მართალია, საერთაშორისო პროლეტარიატი იბრძოდა და იმის წითელ დროშაზე სოციალიზმი ეწერა, მაგრამ ეს სოციალიზმი იყო მხოლოდ ოცნება და საერთაშორისო ბურჟუაზია ამ ბრძოლიდან ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. .

ამიტომაც ის გალაღებული იყო, იმედიანი და მომავალს გულდამშვიდებული უყურებდა.

რუსეთის დიდმა რავოლუციამ მდგომარეობა ძირიანად შესცვალა: დედამიწის მეექვსედზე პროლეტარიატი გაბატონდა, გაჩაღდა სოციალისტური მშენებლობა და იდეა კომინიზმისა ლენინურის გაგებით სწრაფად მოედო მთელს მსოფლიოს...

ამრიგად ბურჟუაზიის განუსაზღვრელი ბატონობა დაირღვა და შეიქნა ორი მსოფლიო, გაჩნდა ორი სისტემა: ბურჟუაზიულ სახელმწიფოების გვერდით საბჭოები, ბურჟუაზიულ წყობილების გვერდით პროლეტარიატის დიქტატურა.

ასეთი ერთი მეორის სრულიად საწინააღმდეგო სისტემისა და წყობილების ერთად არსებობა ხანგრძლივად შეუძლებელია: ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე.

ინგლისი განთქმულია ძლიერი და რეაქციონური ბურჟუაზიით. ეს ბურჟუაზია თავიდანვე შეეცადა საბჭოთა წყობილების მოსპობას: დენიკინს, ვრანგელს, კოლჩაკს, ყველა შავრაზმელებსა და კონტრ - რევოლიუციონერებს ის უწევდა უხვ დახმარებას ფულით, იარაღით, ინტერვენციით, მაგრამ მთელი მისი მეცადინეობა დამარცხდა, იმედი ამ მიმართულებით სრულებით ჩაიფუშა.

ინგლისის ბურჟუაზიამ იფიქრა: ვიქონიებ მოთმინებას, საბჭოთა კავშირი ეკონომიურად გაკოტრდება და თავისთავად ჩაიფუშებაო.

უყურა, უყურა ინგლისის ბურჟუაზიამ და რა დაინახა.

საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა გასაოცარი ენერგია და გააჩაღა დიდი აღმშენებლობითი მუშაობა; ის გაძლიერდა მარტო პოლიტიკურად კი არა, არამედ ეკონომიურადაც მარტო საკუთარის შრომით სხვის დაუხმარებლად. ევროპის ბურჟუაზია ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რომ საბჭოთა კავშირისათვის ეკონომიურ ფრონტზე დაბრკოლებები შეექმნა. ინგლისის ბურჟუაზია ავანტიურისა და ინტერვენციის გზიდან დაადგა ეკონომიური ბლოკადის, გარემოცვის გზას. მან მოუსპო საბჭოთა კავშირს ყოველისფერი: საქონელი, მანქანები, კრედიტი...

მიუხედავათ ამისა, საბჭოთა კავშირმა საკუთარის ძალ ღონით წამოაყენა ფეხზე ომისაგან დანგრეული და განადგურებული ქვეყანა, მომაგრდა და მტკიცეთ დაადგა აყვავების გზას.

ინგლისის ბურჟუაზია აქაც დამარცხდა: იმისმა ეკონომიურმა გარემოცვამ საბჭოთა კავშირს ვერაფერი დააკლო; ის მაინც გაიმართა წელში და თანდათან ღონიერდება ეკონომიურად.

საბჭოთა კავშირი — ეკონომიურად და პოლიტიკურად გაძლიერებული — უკვე დიდ რისხვას წარმოადგენს ევროპის ბურჟუაზიისათვის. რაც უფრო ძლიერდება საბჭოთა კავშირი, მით უფრო ახლოვდება ევროპის ბურჟუაზიის აღსასრული.

ცხადია, ინგლისის ბურჟუაზიას დარჩა ერთად-ერთი გზა: პირდაპირი ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამ ომისათვის ინგლისი კარგა ხანია ემზადება. ის აიარაღებს რუმინეთს, პოლონეთს, ლატვიას, ლიტვას, ეს-

ტონეთს, ფინეთს და დღეს უკვე აშკარად, დაუფარავად და ყოველგვარის საშუალებით სცდილობს ომი თავზე მოახვიოს საბჭოთა კავშირს.

ომი თავის თავად საშინელებაა და დიდი უბედურებაა. დღევანდელი ომი კი,— თუ კი ის ატყდა ინგლისის ბურჟუაზიის წყალობით, — სრულებით განსხვავებული იქნება. აქ ერთმანეთს დაეჯახება ორი მსოფლმხედველობა, ორი სისტემა, ორი იდეა, ორი ერთი მეორის საშინელი მტერი: მსოფლიო ბურჟუაზია და მსოფლიო პროლეტარიატი. აუარებელი, მეტად დიდი და დიადი შედეგია მოსალოდნელი და აუცილებელიც.

ასეთი ხანა, ასეთი ომი ისტორიაში ჯერ არა ყოფილა. სპარტაკის ომები რომის ბატონებთან მხოლოდ პატარა, უბრალო ამბავია ამასთან შედარებით.

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ საბჭოთა მთავრობას უნდა მხოლოდ მშვიდობიანი მუშაობა საბჭოთა კავშირის ასაყვავებლად, მთელი ქვეყნიერების მშრომელთა საკეთილდღეოთ. მას სურს კეთილმეზობლური განწყობილება ყველასთან—დიდთანაც, პატარასთანაც. .

მაგრამ თუ ინგლისის ბურჟუაზიამ მაინც ჩაიდინა ისტორიული დანაშაული მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს წინაშე და ომი თავზე მოახვია საბჭოთა კავშირს, ჩვენი საერთო მთავრობა ღირსეულად მიიღებს მას და ღირსეულ პასუხს გასცემს.

რა უნდა ვქნათ ჩვენ?

ყველა უნდა შემოვკრბეთ ჩვენი მთავრობის გარშემო და მთელის ჩვენის ძალღონით დავეხმაროთ მას.

რა უნდა ჰქნას ქართველმა მშრომელმა ხალხმა: მუშებმა და გლეხებმა? მათ უნდა შეჰკრან თავისი მთავრობის გარშემო ისეთი მტკიცე რკალი, რომლის გარღვევაც ვერავითარმა მტერმა ვერ შესძლოს.

რა უნდა ჰქნას ქართველმა ინტელიგენციამ?

მან უნდა დაამტკიცოს თავისი უაღრესი ერთგულება საბჭოთა მთავრობისა და წყობილებისადმი..

საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებში იყო ერთგვარი გაურკვევლობა ჩვენი ინტელიგენციის წრეებში; ამას ჰქონდა თავისი მიზეზები. დღეს კი ჩვენს ინტელიგენციას ცილს ვერავინ დასწამებს: ის მტკიცედა სდგას საბჭოთა პლატფორმაზე, ჩაბმულია საამშენებლო მუშაობაში, დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ერთად ერთი ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია ქართველი ერის თავისუფლებისა და კეთილდღეობის გამოჭედვა.

ამიტომაც ალარავითარ მერყეობას არა აქვს იმის წრეებში ალაგი..

ნათქვამია, თითო მახინჯი ყოველ ოჯახში მოეპოება. შეიძლება ჩვენ შორისაც მოიპოვებიან თითო ოროლა რომლებიც წყალის ამღვრევას შეჰხარიან, მაგრამ მათ არავითარი მნიშვნელობა და წონა არა აქვთ.

ქართველი ინტელიგენცია ჰხედავს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე იმდენი რამ გააკეთა ქართველი ერის აღორძინებისათვის, რამდენსაც ვერავითარი სხვა ხელისუფლება ვერ გააკეთებდა. ამიტომ ის გულწრფელი დამცველია საბჭოთა წყობილებისა.

ქართველი ინტელიგენცია მუდამ იყო მუშებისა და გლეხების ინტერესთა დამცველი და დღესაც მტკიცედ იქნება საბჭოთა წყობილების დაცვაში.

რა უნდა ჰქნას ქართველმა ახალგაზრდობამ? ის უნდა იყოს აღფრთოვანებული, გასაკლდევებული დარაჯი წითელი დროშისა, საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა საქართველოსი; ყოველგვარ პროვოკაციას წინ უნდა დაუყენოს მან სიმტკიცე ერთგულებისა, ერთგულებისა და კიდევ ერთგულებისა. მან უნდა დაიცვას საბჭოთა კავშირი ყოველგვარი როგორც გარეშე, ისე შინაური მტრებისაგან.

რა უნდა ჰქნას ქართველმა ქალმა? ის უნდა იყოს სინიდისი ყოველი ჩვენგანის, ის უნდა იყოს მხილება ყოველი მოღალატის, მან უნდა გააფრთხილოს და დაიფაროს თავისი შვილი, ქმარი, ძმა, მამა ყოველგვარი პროვოკაციისაგან.

რა უნდა ჰქნან შინაურმა მტრებმა და ყველა იმათ, ვინც საბჭოთა წყობილებით უკმაყოფილოა?

კარგად უნდა ჩაფიქრდენ, გაითვალისწინონ მდგომარეობა და შეიგნონ, რომ ასეთ ხანაში საბჭოთა წყობილების ორგულსა და მოღალატისადმი არ იქნება არავითარი შებრალება, არავითარი დანდობა.

საერთოდ უნდა იცოდეს ყველა მტერმა და ორგულმა: ფარული მუშაობა საბჭოთა მთავრობასთან არავის გაუვა. რას აკეთებს ემიგრაცია, ვინ რას აკეთებს აქ, რა წერილებს აგზავნიან აქ ემიგრაციის ბელადები, საბჭოთა მთავრობამ საუცხოვოდ იცის და პარიზიდან ჟორდანიასა და რამიშვილის მიერ გამოგზავნილ წერილებს ყველაზე უმალ ისა ჰკითხულობს..

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის ბურჟუაზია ძლიერია და საუცხოვოდ შეიარაღებული, ომი არ არის საშიში საბჭოთა კავშირისათვის, თუ რომ ზურგი მაგარი იქნება..

აი, ამ ზურგის გამაგრება გვმართებს დღეს ყველას: დიდს, პატარას, ქალს, კაცს, მუშას, გლეხს, ინტელიგენტს.

განსაკუთრებული სიფრთხილე და სიფხიზლე ჰმართებთ მუშებსა და გლეხებს. მათ ძირიან-ფესვიანად უნდა აღმოფხვრან ყოველგვარი პროვოკაცია..

ემიგრაციის ბელადებმა ერთხელ მოგვიწყვეს აჯანყება, დაგვატეხეს თავს საშინელი უბედურება და შემდეგ პილატესავით ხელს იბანდენ: ჩვენ რა შუაში ვართ, ჩვენ ამას როგორ ჩავიდენდითო.

დღეს რაკი მდგომარეობა გართულდა, ისინი კიდევ ცდილობენ ხელახალი აჯანყების მოწყობას.

ამისათვის გზავნიან აქეთკენ ხალხს პარიზიდან, გზავნიან წერილებს, არიგებენ ქართველ ხალხს, მაგრამ ის კარგ წყდებათ, რომ ქართველი ხალხის მეხსიერებაში ისინი დღეს მხოლოდ მწარე მოგონებას შეადგენენ.

ქართველი მუშები და გლეხები, ქართველი ინტელიგენცია, ქართველი ახალგაზრდობა არავითად პროვოკაციას არ გაჰყვება. და არ აჰყვება.

საბჭოთა წყობილება არის ერთად ერთი წყობილება ქართველი მშრომელი ხალხისა, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობისათვის.

საბჭოთა მთავრობა არის ერთად-ერთი ჩვენი მთავრობა.

საბჭოთა საქართველოს ერთსულოვნად ამოვუდგებით ყველა გვერდში და დავიცავთ მას, იმის წყობილებასა და მთავრობას ყოველგვარი როგორც შინაური, ისე გარეული მტრებისაგან..

მე არ ვამბობ, რომ საბჭოთა საქართველოში ყველაფერი უნაკლულო იყოს. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, შესაცვლელიც, მაგრამ ეს გაკეთდება და გასწორდება თანდათან ყოველი ჩვენგანის პატიოსანი და გულწრფელი თანამშრომლობით საბჭოთა ხელისუფლებასთან და არა აჯანყებით.

**ივ. გომართელი.**

# რა ჰქნას საქართველომ

2

## ორი დიდი საკითხი

საქართველოს გასაბჭოებამ ჩვენს წინაშე დასვა ორი დიდი საკითხი.. ეს არის დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის საკითხი.

პირველი მათგანი არის ჩვენი ასე ვსთქვათ საგვარეულო პოლიტიკური მოთხოვნილება, მეორე კი რევოლიუციის პროცესში კეთილ შეძენილი.

ჩვენში არის ხალხი, რომელიც ამბობს: ოღონდ ბოლშევიკებმა დემოკრატია მიიღონ, ჩვენ მეტი არაფერი გვინდა, პარტიაში ახლავე ჩავეწერებითო. არის მეორენაირი ხალხიც.. ის ამბობს: ოღონდ საქართველო იყოს დამოუკიდებელი, ჩვენ მეტი არაფერი გვინდა, ბოლშევიკებს ყველაფერში გვერდში ამოუდგებითო.

ორივე შემთხვევაში წამოყენებულია ორი უდიდესი საკითხი, საჭიროა მათ მოკლეთ შევეხოთ.

რა არის მარქსიზმის თვალსაზრისით დემოკრატია? ეს არის „ერის უმრავლესობის პოლიტიკური ბატონობა“. ვინ შედის ამ უმრავლესობაში? მასში შედის: „პროლეტარი, გლეხი, წვრილი ვაჭარ-მრეწველი, ხელოსანი, ინტელიგენტი და სხვა“.

შეიძლება თუ არა მარქსიზმის თვალსაზრისით ასეთი ჭრელი კრებული გამოვაცხადოთ ფეტიშად და საიმედო დასაყრდნობათ? რა თქმა უნდა არა. კიდევ მეტი: **„არც ერთი პარტია,** ამბობს ნოე ჟორდანია, **არ არის მუშათა პარტიის ისეთი მტერი, როგორც დემოკრატია“,** (იხ. ნ ჟორდანია **„დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია“**. 1917 წ. გამოცემა, გვერდი 17).

თუ ეს ასეა, თუ დემოკრატია მტერია მუშათა პარტიის, მაშინ, ცხადია, ბოლშევიკები არ ჩადიან თვით ნოე ჟორდანიას თვალსაზრისით დიდ დანაშაულს, როცა ამ დემოკრატიას, ვითარცა „მუშათა პარტიის მტერს“ უარყოფენ, როცა მას ზღუდავენ!

როგორც ვიცით გ. პლეხანოვი არ იყო ბოლშევიკი, მაგრამ აი რა განაცხადა მან რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მეორე ყრილობაზე (მომყავს ციტატის აზრი) **„თუ საჭიროება მოითხოვს ჩვენ დამფუძნებელ კრებას გავრეკავთო“.**.

სწორეთ ეს მოიყვანეს სისრულეში ბოლშევიკებმა, არც მეტი არ ნაკლები!

რას ნიშნავს ყოველივე ეს? ეს მხოლოდ იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ დემოკრატია, დემოკრატიული არის მიმართულებით მცნება და, რომ მისი ამა თუ იმ სახით უარყოფის შესაძლებლობა ჩამარხულია თვით იმ მოძღვრებაში, რომელსაც **დიალექტიური მატერიალიზმი ეწოდება.**

ამას მოწმობს ჩვენში მენშევიკური პარტიის პრაქტიკაც.

ჩვენ ორჯელ განვიცადეთ მენშევიკური პარტიის ბატონობა: პირველათ 1905 წელს, ხოლო მეორეთ 1917—21 წ. წ.

1905 წელს მენშევიკებს არ სურდათ სხვა პარტიებთან თანამშრომლობა, მათ არ უნდოდათ ესერებთან და ფედერალისტებთან ერთად **მიტინგის გამართვაც კი..** სიტყვისა და კრების თავისუფლება სხვა პოლიტიკურ მიმართულებათათვის ძლიერ შეზღუდული იყო, ან სულ არ არსებობდა. ვინ ჩამოთვლის რამდენჯერ ჩამოუგდიათ ტრიბუნიდან მენშევიკ პროპაგანდისტებს ესერები, ფედერალისტები და ანარქისტები!

„ჩვენ ვართ ერთად ერთი მუშათა პარტიაო“, აცხადებენ მენშევიკები, სხვა დანარჩენები მონათლული იქნენ: ესერები რეაქციონერებათ, ფედერალისტები სეპარატისტებათ და ფეოდალების პარტიად და სხვა.

1917—20 წ. წ. მენშევიკური პარტია იმავე ტრადიციას იმეორებს.

რამდენიმე ფაქტი საკმარისია ამის საილიუსტრაციოთ. 1917 წ. ქუთაისში დარბეულ იქნა ქართველ ფედერალისტების პარტიული კლუბი, არ დაინდვეს კერენსკის სურათიც!

სოფლად 1917 წლის პირველ ხანებში სხვა პარტიის ხალხს სრულებით არ ჰქონდა მუშაობის საშუალება. ჩვენს ამხანაგებს მაგ. ღამღამობით უხდებათ სოფელში სიარული და „ინდივიდუალური დამუშავების“ მეთოდით გლეხებში პროპაგანდა.

როცა ზუგდიდის მაზრაში ერობის არჩევნები დაიწყო, ერთი კვირით ადრე ყველა ჩვენი აქტიური ამხანაგები დააპატიმრეს. მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობას ასრულებდა პ. ქიქინაძე. მე, როგორც დამფუძნებელი კრების წევრმა, მივმართე პ. ქიქინაძეს, წარუდგინე მას ყველა დეპეშები და სხვა საბუთები და მოვითხოვე დაპატიმრებულნი დაუყოვნებლივ განთავისუფლებიათ. შეუძლებელიაო მიპასუხა მან. ესენი ყველანი ყაჩაღები არიან, საქმე უნდა გამოვიძიოთ და მხოლოდ მერე შეიძლება რაიმე გადაწყვეტილება მივიღოთო. დამფუძნებელ კრებაში ამის შესახებ შეკითხვაც შევიტანეთ, მაგრამ ვერაფერმა გასჭრა. ხოლო როგორც კი არჩევნები დამთავრდა, მეორე თუ მესამე დღეს ყველა ეს „ყაჩაღები“ გაანთავისუფლეს!

რაში იყო აქ საქმე? ცხადია რაში! „გამოძიება, ე. ი. არჩევნები გათავდა და „ყაჩაღებიც“ უკვე საშიში აღარ იყვნენ და ისინიც გაანთავისუფლეს!

ბორჩალოში დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები ხდებოდა. საარჩევნო კომპანიაში მონაწილეობას იღებდენ მენშევიკები, ესერები და ფედერალისტები, ბორჩალოს სამაზრო ერობაში უმრავლესობა ესერები იყო. ვიდრე აქ არჩევნები დაიწყებოდა, ჩვენი ამხანაგები ბორჩალოდან ჩამოვიდნენ, მათ მივეცით ინსტრუქცია, ლიტერატურა და სხვა, ხოლო როგორც კი ისინი უკან დაბრუნდნენ და ბორჩალოში გამოჩნდენ, ცენტრის განკარგულებით, ყველა დააპატიმრეს.

რაკი მთავარი მეტოქე თავიდან მოიცილეს, მენშევიკებმა და ფედერალისტებმა ხმები გაიყვეს, ყუთები საარჩევნო ბიულეტენებით აავსეს და ამნაირად **ბერძნული მოსახლეობის ხმებიც, როდესაც არც კი გაუგონიათ ფედერალისტების სახელი, დამფუძნებელ კრებაში გავიდა ფედერალისტი მოქ. სამსონ დადიანი!**

ასე ხდებოდა ჩვენში ხშირად დემოკრატიული, თავისუფალი არჩევნები.

დამფუძნებელ კრებაში ჩვენ ოპოზიციას წარმოვადგენდით. ხშირად გვიხდებოდა მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ გამოსვლა, მაგრამ კიდევაც, რომ 24 საათი [illegible]. საქართველოს დეპეშათა სააგენტო ამის შესახებ ან არაფერს გადასცემდა, ან ორიოდე სიტყვით მოიხსენიებდა: ესა და ეს დეპუტატი წინააღმდეგ გამოვიდაო, იმავე დროს მმართველ პარტიის წარმომადგენელთა სიტყვებს მეტად ვრცლად, შესწორებულად და შელამაზებულად გადასცემდა. ეს იყო **სიტყვის თავისუფლების არა პირდაპირი გაუქმება.**

დეპუტატი ხელუხლებლად ითვლებოდა, მაგრამ იყო შემთხვევა, როცა დეპუტატს ბინიდან ცემა-ტყეპით აგდებდენ ან ბინას უჩხრეკდენ.

ნ. ჟორდანიას მთავრობამ საბჭოთა რუსეთთან 1920 წ. მაისში ხელშეკრულება დასდვა. ამის შესახებ დამფუძნებელმა კრებამ არაფერი იცოდა. ყველაზე კურიოზული დემოკრატიული პრინციპების თვალსაზრისით ამ ხელშეკრულებაში იყო ის ადგილი, სადაც ეწერა „ეს ხელშეკრულება ძალაში შედის ხელის მოწერის ფაქტით და არავითარ დამტკიცებას არ საჭიროებსო“. ეს ეხებოდა იმ ქვეყანას სადაც არსებობდა დემოკრატიული წესწყობილება და დამფუძნებელი კრება!

ყველა ამით მე მინდა ვსთქვა მხოლოდ შემდეგი: **ჩვენში 1918, 1919 და 1920 წლებში არსებობდა დე-**

**მოკრატიული წესწყობილება და პოლიტიკური თავისუფლებანი, მაგრამ ამ თავისუფლებებს მმართველი პარტია აუქმებდა ან ზღუდავდა, როცა დასჭირდებოდა!**

ამის შემდეგ მე არ ვიცი, რა უფლებით უსაყვედურებს ნ. რამიშვილი და კომპანია ბოლშევიკებს: თქვენ დემოკრატია უარყავით, ქვეყნის დამქცევი ხართო, მით უფრო ის რამიშვილი, რომელმაც 1920 წელს საჯარო მოხსენებაში განაცხადა (ეს დაბეჭდილია 1920 წ. „ერთობაში“).. „ყველა პროლეტარული მთავრობა მკაცრი იყოო“.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ დემოკრატიულ საქართველოში რომელიმე სხვა სოციალისტურ პარტიას პარლამენტარული გზით რომ უმრავლესობა მიეღო, მას ნ. რამიშვილი ხელისუფლებას ნებაყოფლობით არ დაუთმობდა!

მეორე დიდი საკითხი არის საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი. 30 წ. განმავლობაში ქართველი მენშევიკები ებრძოდენ ეროვნულ იდეას, მათთვის თვით სიტყვა „საქართველო“ სამარცხვინო იყო. კომუნისტური პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა ამას წინად გამოსცა ნ. ჟორდანიას ნაწერები ეროვნულ საკითხზე, რომელიც სქელ ტანიან წიგნს შეიცავს. რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ ამ წერილების ავტორი ნ. ჟორდანია ეროვნულ საკითხში არის წმინდა წყლის ბოლშევიკი!

1917 წ. ე. ი. რევოლიუციის შემდეგ ამიერ-კავკასიის გლეხთა ყრილობაზე ნ. ჟორდანიამ განაცხადა (არის დაბეჭდილი მოხსენება): **„რადგანაც ტფილისმა დაკარგა ქართული ელფერი, ის ცალკე კანტონად უნდა გამოვყოთო“.**

1918 წ., როცა სეიმმა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ნ. ჟორდანიამ სთქვა: **„ჩვენ ახლაც რუსეთის ორიენტაციის ვართ, მაგრამ ამ ორიენტაციის დასაცავათ ერთი ხიშტიც არ მოგვეპოვებაო“.**

1918 წ. 22, 24 და 25 მაისს ე.ი. 2--3 ღით ადრე 26 მაისამდე გაზეთები „ერთობა“ და „ბორბა“ სასტიკ წერილებს ათავსებდენ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

1920 წ., როცა რუსეთში იდგა ვრანგელის ლიკვიდაციის საკითხი ნ. ჟორდანიამ საჯარო მოხსენებაში სთქვა: „ჩვენ ახლა ნეიტრალიტეტს ვიცავთ, მაგრამ რუსეთში, რომ დემოკრატიული წესწყობილება იყოს, ჩვენ ასე არ მოვიქცევოდითო“.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ის ხალხი, რომელიც დღეს დამოუკიდებლობისათვის თითქოს ასე ზრუნავს გუშინ სულ სხვა აზრის იყო და არავინ იცის რა აზრის იქნება იგი ხვალ და ზეგ.

ჩვენთვის საქართველოს დამოუკიდებლობა არის რევოლიუციის უდიდესი მონაპოვარი, რომელსაც თვალის ჩინივით უნდა მოუაროთ.

რაც შეეხება ამ საკითხის დღევანდელ მდგომარეობას, ჩვენ ვამბობთ: **დღეს საქართველოს ეროვნულად და სახელმწიფოებრივად აქვს ათჯერ მეტი (თუ მეტი არა) იმაზე, რასაც ქართველი სოციალ-დემოკრატები მისთვის 30 წლის განმავლობაში მოითხოვდენ!**—აი სიმართლე, რომლის გაბათილებასა და უარყოფას ვერავინ შესძლებს!

ამნაირად ამ ორ მთავარ საკითხში მენშევიკური სოციალ-დემოკრატია ორივე ფეხით კოჭლობს. ამიტომ ჩვენ ვსვამთ გარკვეულ კითხვას: აქვს თუ არა ზნეობრივი და პოლიტიკური უფლება იმ ხალხს, რომლის თეორია და პრაქტიკა მოკლედ ზევით გავიცანით, ქართველ ერს უთხრას: **„ან გაწყდი, ან დემოკრატია მოიპოვეო?**

ჩვენ ვამბობთ: არა, ამის უფლება მათ არა აქვთ, ვინაიდან **არის მდგომარეობა, რომელიც უმაღლეს პრინციპზე მაღლა დგას. ეს არის ქვეყნის ბედი, ერის ყოფნის საკითხი.**

ჩვენი ემიგრაციის დირიჟორები კი, როგორც ეტყობა, თავს არხეინად გრძნობენ, მდგომარეობას სრულებით ანგარიშს არ უწევენ, თვითონ მეორე ნაპირას გასულან და ჩვენ იქიდან რეცეპტს გვიწერენ: **არ გაუშვათო!**

ის არის კაი კაცობა?!

ლეო შენგელაია.

# ახალი ინტრიგების ქსელი

ინგლისის კონსერვატიული მთავრობის მიერ დაწყებული საბჭოთა კავშირის გარემოცვის პოლიტიკა კვლავ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით გრძელდება. აქ მხრივ პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ერთა ლიგის სესიაზე უკანასკნელად გამართული ფარული ვაჭრობა, რომელიც მიმდინარეობს ჩემბერლენის მეთაურობით.

ერთა ლიგის თვით ოფიციალურ სხდომებზე იხილავენ წვრილმან საკითხებს. უფრო დიდი კითხვების განხილვა კი გადატანილია კულისებში, როგორც ეს ჩვეულებრივ ყოველთვის ხდებოდა ხოლმე. ერთა ლიგა ხომ იმიტომაა გამოგონებული, რომ დროგამოშვებით იმპერიალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა ერთმანეთს შეხვდენ და თავიანთი ბნელი ზრახვების განხორციელების შესახებ ახალი ინტრიგების ქსელი გააბან. ასევე ხდება ამჟამადაც.

იმპერიალისტების ყურადღების ცენტრში სდგას საბჭოთა კავშირის გარემოცვის პოლიტიკის განხორციელება. გაზეთების გადმოცემით, ჩემბერლენმა ჟენევაში ჩამოიტანა „ახალი პროექტი“, რომლის მიხედვით, უნდა შეათანხმოს საფრანგეთ-გერმანიის ინტერესთა წინააღმდეგობა და ამრიგად საბოლოოდ მოაქციოს ეს სახელმწიფოები ინგლისის მთავრობის გავლენის სფეროში. თუმცა ჯერ-ჯერობით არაფერს აქვეყნებენ იმ თათბირის გამო, რომლებშიაც ექვსმა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ამთავითვე შეიძლება იმის თქმა, რომ იმპერიალისტურ ქვეყნებთა შორის არსებული წინააღმდეგობანი იმდენად დიდია, რომ ახალი ომის დაწყების შესახებ ვერც ამ სახელმწიფოების წარმომადგენლები ბედავენ რაიმეს თქმას. პირიქით, ჩემბერლენის სიტყვით, „ინგლისის მთავრობა არ ფიქრობს ომზე, ან რაიმე ფრონტის შექმნაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

თუ რამდენად გულწრფელია, ეს განცხადება, ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, მაგრამ, თუ სიტყვით მაინც ამას იმეორებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ კაპიტალისტური ევროპის დღევანდელი მდგომარეობა არ აძლევს მათ საშუალებას თავიანთი ზრახვების განხორციელებისათვის. პირიქით, დეპეშების ცნობით, საფრანგეთი ქმნის ისეთ განწყობილებას, რომ სახელმწიფოებმა მოიწვიონ კონფერენცია საბჭოთა კავშირის მონაწილეობით, სადაც უნდა გაირჩეს საბჭოთა კავშირთან ყველა სადაო საკითხები.

აქ ძალაუნებურად გვაგონდება 1922 წელი, როდესაც იგივე საფრანგეთის მთავრობის ინიციატივით მოწვეულ იქნა გენუის კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებმაც.

მაშინ იმპერიალისტებს იმედი ქონდათ, რომ შეერთებულის ძალით აიძულებენ საბჭოთა კავშირის მთავრობას მიეღო მათ მიერ შემუშავებული ის პირობები, რომელიც ნიშნავდა ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარზე მშვიდობიანად ხელის აღებას. რა თქმა უნდა, საბჭოთა მთავრობა ამ კაპიტულიაციაზე არ წავიდოდა და გენუის კონფერენციაც უშედეგოდ დამთავრდა.

უმთავრესად რა საკითხები აინტერესებდათ მაშინ იმპერიალისტურ მთავრობებს?

ეს იყო საბჭოთა მთავრობის მიერ მეფის ვალების ცნობა, უცხოელ კაპიტალისტებისათვის ფაბრიკა-ქარხნების დაბრუნება, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმება და პროპაგანდა-აგიტაციაზე ხელის აღება.

შეიძლება ითქვას, რომ დღესაც მათ წინაშე იგივე საკითხები სდგას; რომ მართლა შესდგეს ხელაახალი კონფერენცია, იქაც ამ საკითხების ირგვლივ იქნება მსჯელობა, მაგრამ კაპიტალისტ. ერთი რამ ავიწყდებათ. მათ ავიწ

ყდებათ, რომ საბჭოთა კავშირი დღეს ისეთ მდგომარეობაში აღარ არის, როგორშიაც გენუის კონფერენციის დროს იყო.

მაშინ ჩვენი ქვეყანა განიცდიდა ფინანსიურ და ეკონომიურ კრიზისს, სამოქალაქო ომები და ინტერვენცია ახლად დასრულებული იყო, წარმოება და სასოფლო მეურნეობა განადგურებული და არ გვქონდა ურთიერთობა თითქმის არც ერთ ქვეყანასთან.

მას შემდეგ მდგომარეობა სავსებით შეიცვალა. საბჭოთა ხელისუფლების ენერგიული მუშაობით ჩვენ შევსძელით წარმოებისა და სასოფლო მეურნეობის აღდგენა. კიდევ მეტი: დღის წესრიგში დაისვა და კიდეც ხორციელდება ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია; აღვადგინეთ ტრანსპორტი. საფუძველი ჩაეყარა და თანდათან ვითარდება ელექტროფიკაციის საქმეც.

ჩვენ აქ აღარ შეუდგებით იმის დაწვრილებით ჩამოთვლას, თუ სხვადასხვა დარგებში რა მიღწევები გვაქვს.

ეს დღეს უკვე ყველასათვის აშკარაა, ვინც განზრახ არ იბრმავებს თვალებს. თვით კაპიტალისტური მთავრობებიც კი იძულებული გახდენ ამ ფაქტებისთვის ანგარიში გაეწიათ და მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა იურიდიულად იცნეს საბჭოთა კავშირი და მასთან დასდვეს სავაჭრო ხელშეკრულებები.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა დაინტერესებული არ იყოს ყველა ქვეყნებთან ქონდეს ნორმალური დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა. რამდენადაც ეს მოსახერხებელი იქნება ორი სისტემის არსებობის დროს.

სწორედ ამიტომ საბჭოთა მთავრობას არა ერთხელ განუცხადებია, რომ ის თანახმაა მოლაპარაკება აწარმოოს ამა თუ იმ სახელმწიფოსთან ურთიერთ შეთანხმების ნიადაგზე.

ჩვენი პროგრამა ამ ნიადაგზე სრულიად ნათელი და აშკარაა იმ საკითხებისადმი დამოკიდებულებაში, რომელსაც კაპიტალისტური მთავრობები გვიყენებენ.

ავიღოთ მეფის ვალების საკითხი: საბჭოთა მთავრობამ მის გადახდაზე იმთავიდანვე უარი განაცხადა, მაგრამ ამავე დროს თვითეულ კონკრეტიულ შემთხვევაში, ამ საკითხის დასმას მთავრობა არ გაურბის, მისი გადაწყვეტა დამოკიდებულია იმ კონტრ-პრეტენზიების დაკმაყოფილებაზე, რომელიც ჩვენ იმპერიალისტებმა მოგვაყენეს ინტერვენციისა და ბლოკადის საშუალებით და აგრეთვე კრედიტების საკითხთან.

უცხოელ კაპიტალისტებისათვის ფაბრიკა-ქარხნების დაბრუნებაზე ლაპარაკი ზედმეტია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ კაპიტალისტებმა აქ დაბანდებული კაპიტალის საფასური დიდი ხანია აინაზღაურეს ჩვენი მუშათა კლასის ექსპლოატაციით თვითმპყრობელობის დროს. სამაგიეროდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესაძლებლად სცნო კონცესიების გაცემა უცხოელ კაპიტალისტებზე, მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ სისწორით უნდა შეასრულონ საბჭოთა კავშირში არსებული შრომის კანონები.

კაპიტალისტების მესამე მოთხოვნილებაზე— საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმების შესახებ, საბჭოთა მთავრობა არას გზით არ დაეთანხმება. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია—ის მწვერვალია, რომლის საშუალებით ჩვენ ვაწესრიგებთ გარეშე ქვეყნებთან სავაჭ. ურთიერთობას. სოციალისტური მშენებლობის პრინციპი ჩვენ გვიკარნახებს მის შენარჩუნებას და რამდენადაც არ უნდა იწუწუნონ კაპიტალისტებმა მისი გაუქმების შესახებ, მიზანს ვერ მიაღწევენ. ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის განცხადებით.

რაც შეეხება პროპაგანდაზე ხელის აღებას, მისი მოთხოვნა უსაფუძლოა. საბჭოთა მთავრობა არ აწარმოებს პროპაგანდას კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ, არამედ მის გავრცელებას ხელს უწყობენ თვით ბურჟუაზიული მთავრობები თავიანთი მოქმედებით. ყოველ შემთხვევაში, კომუნისტური ინტერნაციონალის მიერ წარმოებულ პროპაგანდაზე, რომელიც აერთიანებს მთელი ქვეყნის კომუნისტურ პარტიებს, საბჭოთა მთავრობა არ აგებს პასუხს.

ასეთია ფაქტების სწორი ლოღიკა და ვისაც სურს აქედან სათანადო დასკვნების გამოყვანა, ის ამას ადვილად მოახერხებს.

როგორც სჩანს, ინგლისის მთავრობა ჟენევაში წარმოებულ ინტრიგებით არ კმაყოფილდება და თავისი სამოქმედო ასპარეზი გადააქვს ცალკე ქვეყნებშიაც. გარდა იმისა, რომ მან ამ დღეებში პოლონეთში მოაწყო საბჭოთა წარმომადგენლის მკვლელობა, მისი ხელები მისწვდა აგრეთვე ავსტრიასაც.

ეს ერთ დროს ძლიერი ქვეყანა, რომელიც მსოფლიო ომიდან დამარცხებული გამოვიდა და რომლის ნანგრევებზე აღმოცენდა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო უნგრეთი და ჩეხო-სლოვაკია და აგრეთვე საგრძნობი ნაწილი მისი ტერიტორიისა შეიერთა იტალიამ, დღეს წარმოადგენს პატარა ქვეყანას, რომლის მოსახლეობა მხოლოდ შვიდ მილიონს უდრის, მისი მრეწველობა ჩავარდა გამოუვალ მდგომარეობაში, რომლისთვის საბჭოთა ქვეყნების ბაზარი წარმოადგენს აუცილებელ პირობას შემდგომი განვითარებისათვის.

ავსტრიის მთავრობა სწორედ ამ აუცილებლობამ აიძულა ვაჭრობა ეწარმოებია საბჭოთა კავშირთან, მაგრამ, როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, ინგლისის მთავრობა ავსტრიის მრეწველობაზე ახდენს ზეგავლენას და სურს შეაფერხოს ეს სავაჭრო ურთიერთობა.

ამ მხრივ დამახასიათებელია ავსტრიის მძიმე მრეწველობის ორგანოს გაზეთ „ნეიე-ფრეიე-პრესეს" წერილი, სათაურით „ავსტრიის მარცხი",— რომელშიაც ის, სხვათა შორის, სწერს: „ვერავინ ვერ გაბედავს ეხლა სავაჭრო ურთიერთობა გააბას საბჭოთა კავშირთან, რადგან ინგლისი აწეული თითით აფრთხილებს ყველას და ჩვენ ნათლად ვგრძნობთ ჩვენს დამოკიდებულებას მისი სურვილისაგან"-ო.

მეორე გაზეთი „აბენდი" სწერს: „ფირმა ნეირტს" ლუპავენ ვენის ბანკები და პირველ რიგში, კრედიტანშტალდი, რომლებიც ლონდონიდან მიღებულ განკარგულების თანახმად, კრედიტებს აღარ აძლევენ ფირმას, რომ ამით ხელი შეუშალონ რუსეთთან გარიგებების დადებას ინგლისის გავლენის დამამტკიცებელი საბუთია ის, რომ ფირმის გამგეობაში დანიშნულია ინგლისის ბანკის განყოფილების ყოფილი დირექტორი ხაიდუ".

ეს ფაქტი ჩვენთვის არავითარ მოულოდნელობას არ წარმოადგენს. ინგლისის მთავრობა რომ განაგრძობს ინტრიგების ქსელის გაბმას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ყველასათვის აშკარაა, მაგრამ ის დამახაიათებელია, მეორე მხრით.

თვით ავსტრიის ბურჟუაზიული გაზეთები გრძნობენ, თუ რაოდენ გავლენას ახდენენ ავსტრიაზე დიდი სახელმწიფოები და პირველ რიგში, ინგლისი. ამას კი დღემდისაც ვერ ხედავს ავსტრიელი მენშევიკები, რომელთა ორგანომ ამ დღეებში დაახასიათა ერთა ლიგის როლი ბურჟუაზიული სახელმწიფოების ურთიერთობაში და აღიარა, რომ ერთა ლიგა სათამაშო საგნად არის გადაქცეული დიდი სახელმწიფოების ხელში, მაგრამ აქედან გამოსავალი იმაში იპოვა, რომ მენშევიზმმა უნდა დაიპყროს ერთა ლიგა და შესცვალოს ის მასების სურვილების განმახორციელებელ ორგანოდ.

თუ რა გზითაა ეს შესაძლებელი, ამის შესახებ გაზეთი არაფერს ამბობს.

პირველ საკითხში, რომ ლიგა წარმოადგენს იმპერიალისტების ხელში სათამაშო საგანს, ჩვენ სავსებით შეგვიძლია დავეთანხმოთ ავსტრიის მენშევიკებს, მაგრამ რაც შეეხება მის რეორგანიზაციას ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ამ ორგანოს გამოყენება მუშათა მასების საკეთილდღეოდ, შეუძლებელია.

სანამ არსებობს ბურჟუაზიული წესწყობილება, არავითარ ერთა ლიგებს არ ექნებათ შესაძლებლობა მშრომელი ხალხის საქმე აკეთოს. ეს შეუძლია მხოლოდ საბჭოთა სისტემას, პროლეტარიატის დიქტატურას.

ასევე შეიძლება ითქვას წვრილ ერთა დამოუკიდებლობის შესახებაც. თუ რამდენად არიან „დამოუკიდებელნი“ ევროპის პატარა სახელმწიფოები, ეს ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა ავსტრიის დღევანდელმა მაგალითმა და ვისაც მართლა სურს ერთა თავისუფლებისათვის ზრუნვა, მან იმპერიალისტ. კი არ უნდა დაუკავშირონ წვრილი ერების ბედი, როგორც საქართველოდან გადახვეწილი მენშევიკები სჩადიან, არამედ გულწრფელად უნდა დადგენ საბჭოთა პლატფორმაზე და გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ იმპერიალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ.

რაც შეეხება კონსერვატორების ახალ ცდებს საბჭოების წინააღმდეგ ინტრიგების წარმოების შესახებ, მას საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი შეხვდება სრულის გულდამშვიდებით, ვინაიდან ის წინასწარ არის დარწმუნებული, რომ ამით კონსერვატორები ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებენ.

ს. ელიაძე.

# ინგლისთან დამოკიდებულების შეწყვეტა და მისი სამეურნეო შედეგები

ამჟამად ინგლისთან კავშირის გაწყვეტა, როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის პრესისათვის მთავარ სამსჯელო საგანს შეადგენს. გარდა წმინდა პოლიტიკური შედეგებისა მომხდარი აქტის ეკონომიური მნიშვნელობა ღრმაა არა მარტო უშუალოთ დაინტერესებული ქვეყნებისათვის, არამედ ყველა სახელმწიფოებისათვის, რომლითაც ნებსით თუ უნებლიეთ საბჭოთა კავშირთან სამეურნეო ალიანსი გააჩნია. ყოველ ეჭვს გარეშეა მომხდარი აქტი საგრძნობელ გავლენას მოახდენს ყველა ქვეყნების საგარეო ვაჭრობაზე.

მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის დამოკიდებულება გამწვავებული იყო, საკომერციო ურთიერთობა თანდათანობითი ზრდის პროცესში იმყოფებოდა. კიდევ 1924—25 წელში საბჭოთა რუსეთის საგარეო ვაჭრობაში ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს პირველი ადგილი ეჭირა. 1925—26 წელში პირველი ადგილი ინგლისმა დაიჭირა. ამ წლის საერთო სავაჭრო ბრუნვა უდრიდა 42,4 მილიონ გირვანქა სტერლინგს, რაც შემდეგნაირად ნაწილდებოდა: საბჭოთა რუსეთის ექსპორტი ინგლისში 22,2 მილ. გირ. სტერ., საბჭოთა რუსეთის იმპორტი ინგლისთან. 20,2 მილ. გირ. სტერ.

ციფრებიდან ნათლად სჩანს ჩვენი სავაჭრო დამოკიდებულების აქტივობა, რაც 2,2 მილ. გირ. სტერლინგს უდრის, მაგრამ თუ ჩვენ მთლიან საანგარიშო ბალანს ავიღებთ, სურათი ინგლისის სასარგებლოთ შეიცვლება. გარდა წმინდა საქონლის გაცვლა-გამოცვლისა საბჭოთა კავშირი 3-დან 4 მილ. სტერლინგამდე 1925—26 წლის განმავლობაში აძლევდა ინგლისის მეურნეობას ფრახტის, საბანკო ტრანსაქციებს, დაზღვევის და სხვა ამგვარ მანიპულიაციებისათვის, რაც ცხადია საანგარიშო ბალანსს ინგლისისათვის აქტიურათ ცვლიდა.

ცხადია ბალანსის აქტივობა დადებითი მოვლენას წარმოადგენს, ის მაჩვენებელია სათანადო ქვეყნის უპირატესობისა და უფრო დაინტერესების, მაგრამ მარტო ამით არ იწურება ინგლისის ასე ვსთქვათ დანაკლისი მომხდარი ფაქტით.

საერთოდ ცნობილია, რომ ინგლისის მრეწველობა კრიზისს განიცდის, რაც ყველაზე უფრო ძლიერად საფეიქრო და სამანქანო წარმოებებში არის ფეხმოკიდებული. ის კოლოსალური უმუშევრობა, რომელიც მთლიან სახალხო და სახელმწიფო მეურნეობას მძიმე ტვირთად აწევს, მოითხოვს პროდუქტიულ საშუალებებს შესამცირებლათ და შესანელებლათ.

ამ მდგომარეობის გათვალისწინებით ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 42,4 მილ. გირ. სტერლინგის დანაკლისი ღრმა მნიშვნელობის გავლენას მოახდენს მეურნეობის საერთო მსვლელობაზე. პირველი შედეგი ექსპორტ-იმპორტის შეწყვეტისა იქნება უმუშევრობის გაძლიერება, პროდუქციის შემცირება და თანამდე სარეწავთა და დაწესებულებათა, ბანკების, სატრანსპორტო საზოგადოებების და დამზღვევი დაწესებულებების ბრუნვის საგრძნობი შემცირება, რაც თავის მხრივ სათანადო დარგებში კრიზისს გააღრმავებს და გააძლიერებს.

მოყვანილ მოსაზრებას ნათლად გააშუქებს დღევანდელი საბჭოთა რუსეთ-ინგლისის სავაჭრო დამოკიდებულების ანალიზი.

საბჭოთა რუსეთის საექსპორტო საგნები. საანგარიშო წელში იყო: ნავთეულობა, ხე-ტყე, ხორბლეულობა, ბეწვეული, კარაქი, კვერცხი და სხვა.

ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანი ინგლისისათვის ნავთეულობაა. საერთოდ ცნობილია, რომ ამჟამად ბრძოლა ნავთისათვის იმპერიალისტურ ქვეყნების ალფა და ომეგას შეადგენს. ამერიკის სანავთო ინდუსტრია „სტანდარტ ოილ“-ის მეთაურობით ამ მხრივ უძლიერეს ფაქტორს წარმოადგენს. ინგლისის მთავარი სანავთო „როიელ დუტშ“ ცდილობს „სტანდარტ-ოილ“-ს გვერდში ამოუდგეს და მთლიანი პოლიტიკა იმ მხრივ არის მიმართული, რომ ინგლისის საჭიროებები დამოუკიდებლად იქნას დაკმაყოფილებული. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ინგლისის სანავთო ფირმები ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ საბჭოთა კავშირთან ნავთის ნიადაგზე დაახლოვებას. უკანასკნელი ხელშეკრულება ნავთის სინდიკატთან „მედვეი ოილ სტორაჟ-ს კომპ.“ 1,3 მილიონი ტონი ნავთის პროდუქტების მიწოდების შესახებ პირდაპირი დასკვნა იყო აღნიშნულ მიდრეკილების.

ყველა დანარჩენი საექსპორტო პროდუქტები წარმოადგენს სასურსათო, საფეიქრო და საამშენებლო წარმოების აუცილებელ პროფენანს. აქედან ცხადია, რომ დამოკიდებულების შეწყვეტა აღნიშნულ პროდუქტებს სულ სხვა გზებს უჩვენებს, რის ლოღიკური დასკვნა, ცხადია, იქნება კრიზისის გაძლიერება. ამ გარემოებით აიხსნება ყველა ის განცხადებები, რომლებიც ინგლისის პოლიტიკოსების მიერ იქნა გაკეთებული, სახელდობრ, რომ მთავრობას ნორმალური ვაჭრობის წარმოების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირთან არაფერი საწინააღმდეგო არა აქვსო.

ინგლისის საექსპორტო ნომენკლატურის განხილვა უფრო ნათლათ დაამტკიცებს იმ აზრს, რომ ბრიტანეთის სახალხო მეურნეობის დანაკლისი დიდი და ღრმა იქნება. ინგლისის სამრეწველო პროდუქტებიდან საბჭოთა რუსეთში შემოდიოდა: მანქანები, სასოფლო-სამეურნეო საფეიქრო და სამრეწველო, მოწყობილობა ელექტროფიკაციისათვის, ბამბა, მატყლი და სხვა.

ელექტრონის წარმოებისათვის „ვიკერის კონცერნი“ უმთავრეს როლს თამაშობდა. დიდი დაინტერესება არსებობდა „დნეპროსტროი“-ს აშენებისადმი. ამავე კონცერნმა დასდო ხელშეკრულება ლენინგრადის სამანქანო ტრესტთან საჭირო მასალების მისაწოდებლათ; ასე რომ დიდი ბრიტანეთის წმინდა საექსპორტო პროფენანსები, რომლის რაოდენობა გასულ სამეურნეო წელში 20 მილ. გირ. სტერლინგს აღემატებოდა, ცხადია, დამოკიდებულების შეწყვეტის შემდეგ წინასწარ გათვალისწინებულ გზას უნდა ასცილდეს. ცხადია, რომ საბჭოთა კავშირისათვის ბევრათ უფრო ადვილი იქნება საიმპორტო საქონლის დისპოზიციის შეცვლა სხვა ქვეყნებზე ვიდრე ინგლისისათვის ახალი ბაზრების ძებნა მათ გასასაღებლათ.

თუ ეხლა ვაჭრობას ფაქტიურ მდგომარეობას დაუმატებთ, ტონაჟის და დაზღვევის საკითხს, რომლიდანაც 3—4 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე ინგლისის მეურნეობას წლიური შემოსავალი ქონდა და საკრედიტო ოპერაციებს რითაც ბანკები დაინტერესებული იყო, ნათლად დავინახავთ, რომ ინგლისის მეურნეობისათვის არც ისე ადვილი და უბრალო საკითხია, საბჭოთა რუსეთთან კავში

რის გაწყვეტა. რა თქმა უნდა, ეს ზიანს აყენებს საბჭოთა კავშირის მეურნეობასაც, მაგრამ ზემო მოყვანილიდან ნათლათ სჩანს ინგლისის მეურნეობის დაზიანების უპირატესობა, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, მართალია, „ფრანკფურტ. ცეიტუნგი“, როდესაც სწერს: „სიტის გავლენიანი წრეები იმდენათ არის დაინტერესებული საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებით, რომ კავშირის გაწყვეტას მხარს ვერ დაუჭერენ“ და შეეცდებიან მის შემსუბუქება-შერბილებას“-ო (№ 312 20 მაისი).

ი. ნარსია.

# ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲗᲝᲛᲐ ᲨᲠᲝᲛᲔᲚᲐᲫᲔᲡ

ძმაო თომა! მივიღე შენი წერილი. დიდათ მესიამოვნა, რომ სოფელში ყოფილხარ და ეწევი მეურნეობას. რა ჯობია სოფელს, გლეხებთან ცხოვრებას, მასთან მუშაობის, მათი ჭირისა და ლხინის გაზიარებას.

შენმა წერილმა ბევრი რამ მომაგონა ჩვენი ახლო წარსულიდან: მომაგონდა ჩვენი საიდუმლო მუშაობა შავი რეაქციის დროს, ალიხანოვის დამსჯელი რაზმი, შენი სახლი რომ გადაბუგეს და ცის ქვეშ დატოვებულმა მამაშენმა გასალახავათ რომ შემოგიტია და გაექეცი. გახსოვს კიდევ შენი მაშინდელი ოინები: სოფლად რომ დაგვეძებდენ და მუსრს გვავლებდენ, შენ რომ მოძებნე რუსის ჯარის კაცის გახუნებული შინელი, ქუდი, ხელში აიღე ვინტოვკა და მატარებელში სტუცე თავი, ვითომდა და შემომხედეთ რა ნიკოლოზის ერთგული ჯარის კაცი ვარო, მაგრამ კინალამ ჩაგივარდა კოვზი ნაცარში: ოფიცერმა რომ გამოირა და „ჩესტის“ მაგიერ ქუდი რომ მოუხადე გაგიჯავრდა, ფეხები მაგრათ დაგიბაკუნა და გითხრა: „დოლოჟი ობ ეტომ ტვოემუ პრიამომუ ნაჩალნიკუ“. შენც რომ გამოიქიმე და შიშის კანკალი აგივარდა. გახსოვს კიდევ ერთხელ ქუთაისის ციხეში სიმშილობა, რომ გამოვაცხადეთ, შენ რაღაცა მახინაციით მოახერხე და საჭმელი მოგვდიოდა ჩუმათ, ციხის ადმინისტრაციას კი ეგონა, რომ ჩვენ სიმშილით ვკვდებოდით. გამახსენდა ყოველივე ეს და სხვა კიდევ მრავალი შენი ოინები და სულ სიცილით ვკითხულობდი შენ წერილს.

მწერ: მიხარია „ახალ გზაში“ რომ დაგიწყია წერა, იქნება, ბიჭო, კიდევაც გაკომუნისტდიო“. გიპასუხებ: ახალ გზელთა პოზიციას მე საქართველოს გასაბჭოების დღიდან დავადექი, მაშინვე შევიგნე, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, იარაღით ხელში მის დაცვას მოითხოვს ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები და ის მიზნები, რისთვისაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში გმირულათ იბრძოდენ ჩვენი ლიდერები, ჩვენი პარტიის საუკეთესო ხელმძღვანელები. რა კარგი იყო, რამდენს მოვიგებდით, რომ იმ თავითვე ყველა ამ გზას დავდგომოდით, ხელი აგვეღო ბუტიაობაზე, ვიღაცას და რაღაცას უიმედო მოლოდინით თავი არ მოგვეტყუებია, გვერდში ამოვდგომოდით საბჭოთა მთავრობას და მასთან ერთად გავმხდარიყავით აქტიური მონაწილენი იმ დიდი აღმშენებლობითი მუშაობის, რომელსაც ის აწარმოებს თავის არსებობის 6 წლის განმავლობაში. ჩვენ ეს რომ თავიდანვე შეგვეგნო ასე ადვილათ არ წამოვეგებოდით პროვოკაციისა და ავანტიურის ანკესებზე, მაგრამ ეს ასე არ მოხდა... დაიღვარა სისხლი... აგვისტოს ტრაღედიისათვის ჩვენი ხალხის სამსჯავროს წინაშე უნდა წარსდგეს ადრე თუ გვიან ჩვენი ყოფილი ამხანაგები, ჩვენი პარტიისა და მენშევიკურ მთავრობის მეთაურები, რომლებიც გაიხიზნენ ევროპაში და იქიდან გვპირდებოდენ სამოთხეს, თუ რასაკვირველია, ჩვენც დავფაცურდებოდით აქ, მოვაწყობდით აჯანყებას, მაგრამ სამოთხის მაგიერა მივიღეთ ჯოჯოხეთი...

უილაჯო მენშევიკურმა მთავრობამ, მაშინაც ვერაფრის გაკეთება ვერ შესძლო, როცა მის ხელში იყო საქართველოს მართვა-გამგეობის სადავე, მისი „ბრძნული“ პოლიტიკის წყალობით მაშინაც დაღუპვისა და უფსკრულისაკენ მიგვაქანებდენ და, გასაკვირია რა იმედით გვპირდებოდენ „შველას“ ევროპიდან. მაგრამ ყველა ავანტიურისტი თავის გამარჯვების ბედს ამყარებს. შემთხვევაზე, გარემოებაზე, რისკზე, ასე მოიქცა სწორეთ ჩვენი ემიგრაციაც, მაგრამ ეს რისკი ცოტა ძვირათ დაუჯდა იმ საქართველოს, რომლის ვითომდა კეთილდღეობისათვის დღესაც „გო „საქმიანობენ“ ისინი ევროპაში.

არა, ეხლა რომ ჩაუკვირდები მენშევიკურ მთავრობის საქმიანობას იმ სამი წლის განმავლობაში, როცა ისინი იყვნენ ჩვენი ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი, პირდაპირ მაოცებს მათი სრული არარაობა, მიზანშეუწონელი და უგუნური პოლიტიკა, როგორც საშინაო, ისე საგარეო საკითხების მოვგარებაში, ეკონომიურათ ხომ სულ გავტყავდით, კულტურულათ უკან თუ მივდიოდით თორემ წინ ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს.- დამოუკიდებლობა და მისი დაცვაო მეტყვი? ვაი იმისთანა გამოკიდებულებას ჩვენ, რომ გვქონდა! სწორეთ გუშინ გადავავლე თვალი მაშინდელ ჩვენი დიპლომატიის მასალებს, წავიკითხე ის დაუსრულებელი ნოტები, რომელსაც უგზავნიდა მთავრობა. აქვე მის სატახტო ქალაქში — თბილისში, მის საკუთარ მიწა-წყლზე მყოფ ინგლისს-გერმანელ ოფიცრებს, რომლებიც ყოველფეხის გადადგმაზე არღვევდენ, ფეხქვეშ სთელავდენ ჩვენი დამოუკიდებლობისყოველგვარ ნიშან-წყალს: ფაქტიურად ჩვენში მყოფ უცხო ჯარების სარდლობა იყო ჩვენი მთავრობა და მბრძანებელი.

თუ არ გჯერა გამოგიგზავნი ამის დამამტკიცებელ საბუთებს, რომლებიც მოთავსებულია ერთ დიდ ტანიან წიგნში. ხო და ასეთი დამოკიდებულება ერთ გროშათ ღირდა? დამიჯერე, არა.

ყოველივე ეს ძველი ამბავიაო მეტყვი, რასაც შენ მწერ, ამაში დიდი ხანია ჩვენ ყველანი დავრწმუნდითო, მაგრამ დამერწმუნე, რომ ჯერ კიდევ ბევრია ჩვენში ურწმუნოები, დღესაც კიდევ ბევრი უგდებს ყურს ევროპაში მყოფ ჩვენი ემიგრაციის „საქმიანობას“ და იცი, როგორია ეს „საქმიანობა“ დამიჯერე, რომ ბევრათ წააგავს იმ „მოღვაწეობას“, რომელსაც ისინი ეწეოდენ აგვისტოს ავანტიურის ნიადაგისათვის მოსამზადებლათ, ასეთი სუნი უდიოდა მათ საქმეს დღემდე, დღეს კი საბჭოთა კავშირისა და ინგლის შორის მდგომარეობის გამწვავება ალბათ მალამოთ მოევლინა ემიგრანტთა კომპანიას და უნდა ვიფიქროთ, რომ შეეცდებიან ახალ - ახალ მახინაციების მოწყობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, „დემოკრატიული საქართველოს“ აღდგენის ლოზუნგით შეეცდებიან ზურგიდან მახვილი ჩასცენ საბჭოთა მთავრობას, რომლის ხელში, მათი აზრით „სულს ძლივს ღაფავს ქართველი ერი“. ასე იქცეოდენ ისინი ყოველთვის, როცა საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკა რთულდებოდა და ალბათ ეხლაც ასე მოიმოქმედებენ. და ასეთ გართულებულ პოლიტიკურ მომენტის დროს გაჩუმება, კვლავ დუმილი უდრის ქართველი ერის ღალატს, რომლის მონაწილე მე არ მინდა გავხდე, აი ამიტომ დავიწყე წერა; ყოველი ჩვენი ამხანაგები, რომლებიც ამ საბედისწერო მომენტში კვლავ განაგრძობენ „პოლიტიკის გარეშე“ ყოფნას, ის მტერია ქართველი ხალხის, დღეს პილატესებური „ხელის დაბანა“ აღარ გამოდგება, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ქართველი ერის არსებობა; ვინც კი ოდესმე იბრძოდა მისი იდეალებისათვის, ვისაც კიდევ არ დაუკარგავს ბრძოლის უნარი და არ გამხდარა ცოცხალ ლეშათ, ყველა უნდა ავხმაურდეთ, დავკრათ საერთო, ეროვნული ბუკი და ნაღარა, შეერთებული ძალით ერთხმათ უნდა ავმხედრდეთ ყოველგვარ ავანტიურისა და ინტერვენციის წინააღმდეგ. დროა დაუმტკიცოთ ჩვენს „ქირისუფლებს“, რომ ჩვენ უკვე მოვმწიფდით და თავს ნუ იწუხებენ ჩვენი აპეკუნობისთვის, დროა ყველამ შეიგნოს, რომ ქართველ ხალხს მობეზრდა მოუსვენარი და მუდამ აღშფოთებული ცხოვრება, რომ მას სწყურია მოსვენება, მშვიდობიანი შრომა. ეს უნდა შევაგნებინოთ ჩვენს ემიგრაციას და საბოლოოთ მოვსპოთ მასში ფიქრი, ოცნებაც კი რაიმე აჯანყების შესახებ, ეხლავე, სათავეში უნდა ჩავ-

კლათ ამ ბოროტი ხალხის ბოროტი განზრახვა, მიმართული ერის ფიზიკურად განადგურებისათვის.

აბა, თომა, შენც დაფაცურდი შენებურათ, თუ კიდევ მოიპოვებიან სოფლად გარეწარნი, მერყევი და შავი ქვანაგრძნობებით შეპყრობილნი დროზე მოიყვანე ჭკუაზე, აუხსენი დღევანდელი მომენტის მნიშვნელობა, გაახსენე 24 წლის აგვისტოს სისხლიანი დღეები, გაუთვალისწინე კიდევ ათასჯერ მეტი იმ უბედურებაზე, რაც თავს დაატყდა ქართველ ერს, თუ კვლავ ვინმე გაბედავს და წამოეგება რაიმე პროვოკაციის ანკესებზე, შენ სოფლად გავლენიანი კაცი ხარ, რა უყოთ რომ უპარტიო, განა სავალდებულოა რომ საქართველოს მშრომელი ხალხის ერთგული და მოყვარული საბჭოთა ხელისუფლების ყველა დამცველი პარტიაში შევიდეს. უსათუოდ პარტიული ბილეთი უნდა გედვას ჯიბეში კეთილშობილური მიზნებით და ხალხის სიყვარულით რომ იყო აღჭურვილი? სრულადაც არ არის სავალდებულო ყველასათვის პარტიის წევრობა, ეს გარემოება შენ ხელს არ შეგიშლის, რომ იყო დამცველი ჩვენი ხალხის და წინაღუდგე ყოველგვარ ბოროტებას, რომელიც კი ემუქრება მის ინტერესებს.

გ. ხოფლიშვილი.

# ვინ უმაგრებდა ზურგს შუბლმაგართ

ცნობილია, რომ ბაქოს ნავთის მრეწველობის დიდი რაოდენობა ოქტომბრის რევოლიუციამდე ეკუთვნოდა ინგლის-ჰოლანდიის სანავთო ტრესტს „როიალ-დოტჩ-შელლ“-ს, რომლის თავმჯდომარედ ითვლება ჰენრი დეტერდინგი, რომელიც ერთი პირველთაგანია იმ ცოფმორეულთა კამპანიაში, რასაც ინგლისის შუბლმაგარი კონსერვატორები აწარმოებენ საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. დეტერდინგი უდგას აგრეთვე სათავეში ნავთის მრეწველთა გაერთიანებულ ჯგუფს, რომელთაც დღე და ღამე მხოლოდ ბაქოს და გროზნოს ნავთის მრეწველობა ელანდებათ და წამდაუწუმ უდგენენ საბჭოთა მთავრობას მოთხოვნილებას ნაციონალიზაციაქმნილ ნავთის მრეწველობის უკან დაბრუნების შესახებ. ჰენრი დეტერდინგი სუბსიდიას აძლევს ყველა იმათ, ვინც აწარმოებს თავდასხმის კამპანიას საბჭოთა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ დეტერდინგის ოქროთი მოსყიდულ ინგლისის ყოვითელი პრესა ენერგიულად მოითხოვდა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტას და ბაქოს ნავთისათვის ბოიკოტის გამოცხადებას.

მაგრამ ამვე დროს მოქ. დეტერდინგი იმის ცდაშიაც იყო, რომ როგორმე მოეხერხებია კონცესიის სახით რაიმე ნავთის სამრეწველო ადგილი ხელში ჩაეგდო საბჭოთა ტერიტორიაზე. ცოფმორეული ბურჟუა ბრაზით სქდება, როცა ხედავს, რომ მეორე მისი კონკურენტი „სტანდარტოილ“-ი ახერხებს და იღებს კონცესიას საბჭოთა მთავრობისაგან, აქვს ბათომში ნავთის ტრესტი, ყიდულობს საბჭოთა ნავთის სინდიკატისაგან ნავთის პროდუქტების დიდ რაოდენობას ევროპის ბაზარზე გასაყიდათ.

მაგრამ დეტერდინგს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და მისმა კონკურენტმა „სტანდარტ ოილ“-მა გეგმა ჩაუფუშა.

ამან გამოიწვია ამ ორი ნავთის ტრესტებს შორის დაუსრულებელი დავა და ჩხუბი; ამას მოჰყვა დეტერდინგის გაბრაზება. მან მიმართა საფრანგეთის მთავრობას წინადადებით, რათა დაეარსებიათ საფრანგეთში საზოგადოება, რომელიც გააერთიანებდა ყველა ყოფილ რუსეთის ნავთის მრეწველ კომპანიათა „პრეტენდენტებს“. ამ გაერთიანებას სათავეში უნდა ჩადგომოდა „როიალ-დოტჩ-შელლ“-ი, რითაც ისარგებლებდა დეტერდინგი, და თავის ხელში ჩაიგდებდა ყველა საქმეს საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების დროს მისგან ნავთის კონცესიის მიღების შესახებ.

ასეთი კომბინაციის წინააღმდეგ გაილაშქრენ საფრანგეთის კაპიტალისტებმა. მათ ზურგი შეაქციეს დეტერდინგს. ფრანგმა კაპიტალისტებმა თვით პუანკარეს მეთაურობით გადასწყვიტეს დამოუკიდებლად ეწარმოებიათ საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკება მეტი სარგებლობის მიღების მიზნით.

ამრიგად საფრანგეთში დამარცხებულმა დეტერდინგმა გადასწყვიტა რუსეთის უცხოეთის „კრედიტორების“ გაერთიანება და თავისი „მოღვაწეობა გადაეტანა ინგლისში, სადაც „მუშაობის“ პირობები უკეთესი აღმოჩნდა.

ამრიგად, ხიკსების და ჩერჩილის ანტი-საბჭოთა კამპანიას სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობის გაწყვეტის საქმეში კულისებიდან ზურგს უმაგრებდა და ხელმძღვანელ როლს თამაშობდა ჰენრი დეტერდინგი, დარწმუნებული იმაში, რომ საბჭოთა მთავრობა დათმობაზე წავიდოდა ინგლისელ კაპიტალისტების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. ამ კაპიტალისტების ჯგუფს იმედი ჰქონდათ ბანდიტური თავდასხმით იძულებული გაეხადათ საბჭოთა ხელისუფლება და დათმობის გზას დასდგომოდა იგი...

ზემოხსენებული მსხვილი ნავთის მრეწველთა ჯგუფი იმავე დროს არის სულის ჩამდგმელი იმ რუს თეთრგვარდიელებისა, რომლებიც ლონდონში არიან მოკალათებული და იქიდან ოცნებობენ ინგლისის შუბლმაგართა მეთაურობით. საბჭოთა კავშირის დამარცხებაზე, კაპიტალისტური ევროპა გამოსავალს ეძებს ეკონომიური კრიზისების შესანელებლად.. მსხვილი ნავთის მრეწველთა ჯგუფი კი დეტერდინგების და სხვათა მეთაურობით ყოველ ღონისძიებას მიმართავენ როგორმე საბჭოთა ხელისუფლებას ქედი მოახრევინონ და დათმობაზე წაიყვანონ.

თავის შავი ზრახვების განსახორციელებლად ისინი არ ერიდებიან არავითარ ღონისძიებას და ტერორისტულ აქტსაც კი მიმართავენ, რათა საბჭოთა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ლახვარი ჩასცენ მათთვის ხელსაყრელ მომენტში. ასეთი ბოროტი განზრახვა მათ უკვე მოიყვანეს აქა-იქ სისრულეში ფულით მოსყიდული აგენტებისა და პროვოკატორების საშუალებით. ამას ამტკიცებს ის გაფთრებული საიდუმლო იერიშები, რომელიც უწარმოებია ინგლისის კონსერვატიული მთავრობის პროვოკატორებს და რომლის შესახებ ამას ღაღადებენ ის უტყუარი ფაქტები, რაც 10 ივნისის საკავშირო მთავრობის განცხადებაშია გამოქვეყნებული... კაპიტალის დაქირავებული ბანდები ჩვენს სრულუფლებიან ელჩსაც არ ინდობდენ, ქურდულათ თავს ესხმიან და ვერაგულად ჰკლავენ ვარშავაში, რათა საბჭოთა მთავრობას გაურთულონ საერთაშორისო მდგომარეობა და ფაქტის წინაშე დააყენონ ის— პირველმა საომარ მოქმედების ზომებს მიმართოს თავის დასაცავად.

საერთაშორისო კაპიტალისტური წესწყობილება აშკარად დაჰყურებს იმ უფსკრულს, რომელსაც მას უმზადებს საერთაშორისო რევოლიუციონური მუშათა კლასი; ბურჟუაზია დარწმუნებულია, რომ მისი აღსასრული მოახლოებულია. მისი დასამარების საქმის მოწყობაში ის მთლიანად საბჭოთა ქვეყნების მთავრობას და მის ხელმძღვანელ კომპარტიას სდებს ბრალს.

ამიტომაა, რომ ის ცდილობს ომში ჩაითრიოს საბჭოთა კავშირი და მუშებისა და გლეხების სისხლი აღვრევინოს. მაგრამ იგი ვერ შესძლებს ამას, რადგანაც ევროპის მუშათა კლასი, მიუხედავად მის „ლიდერების“ მოღალატური პოლიტიკისა, არ მისცემს უფლებას თავის ბურჟუაზიას ხელახლა დაანთოს ომის ცეცხლი მთელს მსოფლიოში, ხალახლად შეიწირონ მუშების რამდენიმე ათეული მილიონი სიცოცხლე და მუშათა მარჯვენით შექმნილი მთელი ქვეყნის დოვლათი.

მუშათა კლასი თხიზლადა სდგას სოციალიზმის სადარაჯოზე.

უშანგი ჯაში.

# პეიზაჟი

ცა დაიმსხვრა
სარკესავით,
ჩამოირხა
ბროლის წვიმად,
ფიალ-ქუქუნა
ყვავილები
გადაიქცნენ
მთლად ციმციმად.
მზე გამოკრთა,
მზე პირს იბანს.
მზემ ქვეყანას
გაუღიმა
და გაება
მთიდან-მთაზე
სხივთა ლარი
ოქროს სიმად.
რა ტურფაა
გაზაფხული,
რა კეკლუცი,
რა გულ-ნაზი,
სიხარულის
ცრემლებს ღვრიან.

ბაღში ვარდი,
ზვარში ვაზი—
და მერცხალიც
შიკრიკივით
დასრიალებს
ფრთა-მალხაზი.
შეხეთ ნიავს,
ცუღლუტ ნიავს,
ყუმაკობით
კუდ-მოგლეჯილს,
ციბრუტივით
დავლურს უვლის
ალანე
მწვანე ჯეჯილს.
შეხეთ ნისლსაც,
სპეტაკ ნისლსაც
ტივტივით რომ
გაეშურა,
სერით-სერზე
გადავიდა,
შეფოთლილ ტყეს

დაესხურა.
შეხეთ წყაროს,
სოფლის წყაროს
რა ხმა ტკბილად
ჩორაკრაკებს,
ბალჩა-ბოსტნებს
აგვირისტებს
და უამბობს
მთის არაკებს.
მზის ტოროლაც,
მზის ტრფიალით
ისარივით
ცას მიაპობს,
გაზაფხულის
გამოფენას
დაჰხარის და
სტვენით ამცნობს
გლეხკაცობაც
გამოშლილა,
დასძახის და
იქნევს თოხსა.

შრომის ოფლით
ასაზრდოებს
ქვეყანას, და
თავის ქოხსა.
ვიშ, ბუნების
სიდიადეს!
ვიშ, სიცოცხლის
უშრეტ წყაროს!
რომ შემეძლოს.
დასაკოცნად
ხელს მოვხვევდი
მთელ სამყაროს!
ვაშა, ვაშა,
ცას და ხმელეთს!
ვაშა, ვაშა,
გაზაფხულსა!
გაუმარჯოს
მშრომელ ხალხის
[illegible] და
ჭირნახულსა!

გ. ქუჩიშვილი.

# ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა განყოფილება

## ახალგაზრდა სოციალისტთა ინტერნაციონალი და ჟურნალ „ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი“-ს კალმოსნები

ახალგაზრდა სოციალისტები პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის პირველ დღიდანვე საკუთარი ქვეყნის მენშევიკურ პარტიის გავლენის ქვეშ ვარდებიან და ამგვარად იდეურ საზრდოს თავიდანვე მენშევიზმიდან ღებულობენ. ამიტომ სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, ესენი სავსებით ითვისებენ და ისისხლხორცებენ თავიანთ უფროს კოლეგების მიზნებსა და მისწრაფებებს, ბრძოლის მეთოდებსა და საშუალებებს.

აქედან სავსებით გასაგებია ის მოვლენა, რომ ახალგაზრდა სოციალისტთა ინტერნაციონალი ფეხდაფეხ მისდევს მე-2 ინტერნაციონალს და ყველაფერში ამ უკანასკნელს უჯერებს.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ მსოფლიო მენშევიზმი და მისი შტაბი მეორე ინტერნაციონალი დღეს ბურჟუაზიის აგენტურად გადაიქცა და ხელს უწყობს საერთაშორისო რეაქციას რომელსაც გააფრთებული იერიშები მიაქვს რევოლიუციონურ მუშათა კლასზე. არა ერთი და ორი ფაქტები ვიცით, რომლებიც აშკარად ამტკიცებენ მე-2 ინტერნაციონალის ხელმძღვანელთა ორპირობას და ორგულობას, რომ ისინი მუდამ, სიტყვით ერთს გაიძახიან და საქმით მეორეს აკეთებენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალგაზრდა მენშევიკებიც არ ღალატობენ უფროს კოლეგებს და ყოველთვის ამ უკანასკნელთა ღირსეულ მემკვიდრის როლში გამოდიან. რევოლიუციონური ფრაზეოლოგია, ულაზათო მამლაყინწაობა, თეორიებში „ღრმად“ შეცურვა და პრაქტიკაში სრული უხერხულობა და უილაჯობა—აი ის მშვენიერი თვისებები, რომლებიც მათ ჩინებულად შეითვისეს უფროსებისაგან.

ზემოთ თქმულის დასამტკიცებლად ჩვენ ვისარგებლებთ მასალებით, ახალგაზრდა სოც. ინტერნაციონალის ამსტერდამის კონგრესის მუშაობის მიმოხილვიდან, რომელიც მოთავსებულია ქართულ ემიგრანტ ახალგაზრდების ჯგუფის ორგანოში „ახალგაზრდა სოც. დემოკრატ“-ში.

ჟურნალ „სოც. დემოკრატი“-დან ჩვენ ვტყობილობთ, რომ კონგრესი შემდგარა მაისის ბოლო რიცხვებში ქ. ამსტერდამში. როგორც „სოც. დემოკრატი“-ს მიმომხილველი აგვიწერს, ინტერნაციონალის მოქმედება 1926 წლის განმავლობაში გამოიხატებოდა ამსტერდამის კონგრესისა და საერთაშორისო დღესასწაულის ჩატარება მოწყობაში. კონგრესს დასწრებიან პროფკავშირთა ინტერნაციონალის ყველაზე მემარჯვენე ბელადი უდეგესტი და ცნობილი გერმანელი მენშევიკი კრისპინი. ამსტერდამის შესავალთან ერთ დიდ მინდორზე აღუმართავთ „ახალგაზრდობისა და სიხარულის“ ქალაქი. მინდორი დაუყვიათ ქუჩებად, რომლებზედაც აღუმართავთ კარვები. შუა ქალაქში მოუწყვიათ „მეგობრობის კოშკი“. ერთი სიტყვით, როდესაც ზემოდ აწერილ სურათს ეცნობი, სიხარული გიტაცებს, ვინაიდან გაგონდება განვლილი ბავშვობის დროის უდარდელი ცხოვრება და „გოჭილობიეს“ თამაში.

ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა რა სთქვა კონგრესმა დღევანდელ რთულ მომენტში, როგორ შეა. საერთაშორისო მდგომარეობა და როგორი ხაზებით დასახა ახალგაზრდობის მომავალი ბრძოლის ასპარეზი.

როგორც მიღებულ რეზოლიუციებიდან ვტყობილობთ, მსჯელობის ცენტრში ყოფილა ორი საკითხი: 1. საზავო პოლიტიკა და 2. ომის საფრთხე აღმოსავლეთში.

საკითხები მართლაც მეტად მნიშვნელოვანია. რა სთქვა კონგრესმა პირველ საკითხის შესახებ? „კაპიტალიზმის განვითარება კვლავ საფრთხეში აგდებს მშვიდობიანობას, განსაკუთრებულ გაბატონებულ კლასთა კონკურენცია კოლონიალურ ქვეყნებისა და ნედლი მასალის შეძენისათვის, ჰქმნის იმ წინააღმდეგობას, რომელიც საბაბია ომისა.

ამ საფრთხის წინაშე ახ. სოც. ინტერნაციონალი უერთდება მე-2 ინტერნაციონალსა და პროფკავშირთა ინტერნაციონალის მოქმედებას, რომლებიც მიზნად ისახავენ ომის საფრთხის აცილებას და მუშათა მასებში მშვიდობიანობის სულისკვეთების გაძლიერებას“.

ეხება რა მეორე საკითხს—კონგრესი ამბობს—„ახალგაზრდა სოც. ინტერნაციონალი ისე, როგორც მუშათა სოც. ინტერნაციონალი, შეებრძოლება ყოველგვარ აგრესიულ პოლიტიკას, რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მოითხოვს ნორმალურ პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენას მასთან“.

როგორც ვხედავთ, რეზოლიუცია ლამაზი ენითა და საკმაოდ თვალთმაქცურად არის შედგენილი, ისე რო-

გორც ეს შეეფერება მე-2 ინტერნაციონალის ღირსეულ მემკვიდრეს.

მაგრამ დაუჯეროთ ახ. სოც. ინტერნაციონალის ხელმძღვანელებს, რომ ისინი გულწრფელად იბრძოლებენ რეზოლიუციების ცხოვრებაში გატარებისათვის.

რასაკვირველია არა და აი დასამტკიცებელი ფაქტებიც:

რეზოლიუციებში არ არის ნათქვამი არც ერთი სიტყვა ჩინეთის შესახებ, სადაც მსოფლიო რეაქცია სისხლის მორევში აღრჩობს თავისუფლებისათვის მებრძოლთ. უბრალო თანაგრძნობაც კი არ გამოუცხადებიათ ჩინელ რევოლიუციონერებისადმი. არც ერთი სიტყვით არ არის აღნიშნული თუ როგორი მეთოდებით იბრძოლებენ კაპიტალისტთა წინააღმდეგ.

შეიძლება საბჭოთა კავშირის შესახებ მიღებული რეზოლიუციაა გულწრფელი? ამის გამოსარკვევათ საჭიროა აღვნიშნოთ თუ როდის ჩატარდა კონგრესის მუშაობა. ჟურნალ „ახ. სოც.-დემ.“ გადმოცემით, კონგრესი გაიხსნა 26 მაისს და დამთავრდა სამი დღის შემდეგ. ე. ი. კონგრესის ხელმძღვანელებმა და მონაწილეებმა იცოდენ ინგლისში მომხდარ ამბების „არკოს“-სა და „სოვეტ-ჰაუს“-ზე თავდასხმის შესახებ, რომელიც პირველ სიგნალს წარმოადგენს მსოფლიო რეაქციის ძალების დასარაზმავათ და კაცობრიობას უსაშინელესი ომის საფრთხის წინაშე აყენებს.

ახალ. სოც. ინტერნაციონალის კონგრესმა, თუ გინდ სიტყვიერათ მაინც, გამოეხმაურა კონსერვატორების მიერ მოწყობილ პროვოკაციას და დაგმო მათი პოლიტიკა?

სრულიადაც არა.

კონგრესს ისე „გამოეპარა“ ეს ამბები, თითქოს ის მარსზე მომხდარიყოს.

და განა ამის შემდეგ კიდევ დააჯერებენ რევოლიუციონურ ახალგაზრდობას, რომ ახ. სოც. ინტერნაციონალი რევოლიუციონურ-პროლეტარულ მიზნებს ემსახურება?

ტყვილად იწუხებენ თავს. რევოლიუციონურმა ახალგაზრდობამ საკმაოდ შეაფასა მეორე ინტერნაციონალისა და მისი ახალგაზრდა მემკვიდრის მოღვაწეობა და ზურგი აქცია მათ. ახალგაზრდობამ იცის, რომ სიტყვა ერთია და საქმე მეორე, თანდაყოლილი თვისებაა ორთავე ინტერნაციონალის და საფლავამდე შერჩება მათ.

ახ. სოც. ინტერნაციონალის რეზოლიუციების ცხოვრებაში გატარებისათვის ბრძოლა დაევალა ინტერნაციონალის ყველა სექციებს.

დავალების შესრულებას შესდგომია პარიზში მყოფ ემიგრანტ ახალგაზრდების ერთი ჯგუფიც. ჟურნალი „ახალგაზრდა სოც. დემოკრატი“—სწორედ დასახულ მიზნისათვის დაუარსებიათ.

ჟურნალის მეთაურ წერილში მოქ. ხუნდაძე შემდეგს გადმოგვცემს:

„ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი“-ს მიზანია გამოაშუქოს ყველა ის პრობლემები, რომელიც აინტერესებს საერთოდ ახალ. სოც. ინტერნაციონალს“, „ჩვენ გვინდა ჩვენი ჟურნალის საშუალებით აღვადგინოთ კავშირი ჩვენს მეგობრებთან საქართველოში, მივაწოდოთ მათ ინფორმაცია. ყველა კითხვების შესახებ, რომელიც სოციალისტურ ახალგაზრდობას აინტერესებს“..

თუ როგორი დადგენილება გამოიტანა ამსტერდამის კონგრესმა საბჭოთა კავშირის შესახებ ეს ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ და საკმაო ფაქტებით დავამტკიცეთ ისიც, რომ ინტერნაციონალის ყველა დადგენილებები მხოლოდ ცბიერების საუცხოვო ნიმუშს წარმოადგენს და სხვას არაფერს. ამის კიდევ უფრო დამადასტურებელ ფაქტს გვაძლევს ჩვენ მოქ ხუნდაძე ზემოხსენებულ მეთაურ წერილში. ის სწერს:

„მომავალი ეკუთვნის დემოკრატიას და ეს ნიშნავს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას აქვს მტკიცე საფუძველი. დემოკრატიის გამარჯვება ხანგრძლივ ბრძოლას მოითხოვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ განსაკუთრებულ მიზეზების გამო შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა ხელს არ შეუწყობს საქართველოს განთავისუფლების ჟამის მოახლოებას. პირიქით ჩვენ ღრმად გვწამს, რომ საბჭოთა რუსეთის საშინაო და საგარეო გართულება რომლის ნიშნები უკვე არის, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას—ახლო მომავლის პრობლემად ხდის“.

„შუბი ხალთაში არ დაიმალება“-ო ამბობს ანდაზა. ახალგაზრდა სოც. ინტერნაციონალს ბარემც არ უნდოდა ნამდვილი ზრახვების გამომჟღავნება, მაგრამ რას იზამ, ის გასცა ხუნდაძის „დიპლომატიამ“.

როგორც ხედავთ ახალგაზრდა ემიგრანტებიც ფეხდაფეხ მისდევენ უფროსებს, ისინიც ქართველ ახალგაზრდობას ავანტიურისაკენ მოუწოდებენ, შეელას ომებსა და გართულებებში უსახავენ.

მით უმეტეს საკვირველია, რომ ასეთი მოწოდებით ქართველ ახალგაზრდობას მიმართავს მოქ. მ. ხუნდაძე, რომელიც ათი წელია საქართველოდან წასული, რომელსაც ახალგაზრდა მარქსისტთა სრულიად საქართველოს სალიკვიდაციო კონფერენციამ კარგი ხანია ჩამოართვა ინტერნაციონალში წარმომადგენლობის მანდატი.

ხუნდაძემ უნდა იცოდეს, რომ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის აბსოლიუტური უმრავლესობა საბჭოთა ხელისუფლების ერთგულ დამცველთა რიგებშია და მთელის ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება სოციალისტურ სამშობლოს განვითარების საქმეს.

ემიგრაციის რეცეპტების შედეგი—1924 წლის ტრაღედიაც სავსებით განიცადა ქართველმა ახალგაზრდობამ და კიდევ არ ჩაებმება ჩვენი ერისა და მისი სასიცოცხლო ნაწილის—მუშათა კლასის საზიანო უაზრო ბრძოლაში.

დაბოლოს აღსანიშნავია ერთი მომენტი: მოქ. ხუნდაძე მოუწოდებს ქართველ ახალგაზრდობას ერთიანი ფრონტისაკენ მიუხედავათ პოლიტიკურ რწმენისა და სოციალურ მდგომარეობისა. ამგვარად „მარქსისტი“ ხუნდაძე ცდილობს პოპულიარიზაცია უყოს ინტერესთა ჰარმონიის იდეას და ამით ხელს უწყობს ქართულ უდღეურ ფაშიზმის გაძლიერებას, რომელიც წალეკვით ემუქრება ყველაფერს, რაც სოციალისტურ ნიშნების მატარებელია..

„ჩვენ გვნდა საქართველო ფაშისტური, ზაკლასიური, ეროვნული მთავრობით, სადაც ყოველგვარი ანტიქართული მენშევიკურ-ბოლშევიკური მოძრაობა საშინელი ულმობელობით იქნება გასრესილი—(„თეთრი გიორგი“ № 3.) აი ვისთან ერთად იბრძვის მ. ხუნდაძე და მისი მეგობრები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ვის წისქვილს ასხამს წყალს მათი პოლიტიკა.

ცხადია ქართველ რევოლიუციონურ ახალგაზრდობას არაფერი საერთო არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ასეთ პოლიტიკასთან.

ა. ჩაჩუა.

# მოწოდება

## გადასახლებულთ და ციხეში მყოფთ.

1924 წლის აგვისტოს ტრაღედია დაუვიწყარი იქნება ქართველი ხალხის ისტორიაში. ამ უსაშინელესი დღეების ნანგრევებზე საქ. მენშევიკური პარტიის ერთმა ფხიზელმა ნაწილმა 7—8 ოქტომბერს შეიკრიბა რევოლიუციონურ უბანში და დაარსა „მუშათა კომისია.“ (რომელმაც მიიღო გადამჭრელი ზომები აგვისტოს შედეგების ლიკვიდაციისათვის.

„მუშათა კომისიის“ მუშაობამ ნაყოფი გამოიღო და მრავალი დააყენა სწორ გზაზე. მაგრამ „მუშათა კომისიას“ ერთ და იმავე დროს არ შეეძლო გაეკეთებია ყველაფერი. ამის გამო წარსული წლის ნოემბრის რიცხვებში ჩამოყალიბდა საქ. ყოფ. ახ. მარქსისტთა შორის მომუშავე ცენტრალური ბიურო, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს „მუშათა კომისიის“ მიერ დაწყებულ მუშაობას.

„მუშათა კომისიის“ და ჩვენი ბიუროს წარმოშობის

გაძართლებას და მის მიღწევებსაც ხელი შეუწყო თვით საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის სოციალისტურ პოლიტიკამ, რომელმაც ჩვენი ერის სინამდვილეში მოგვცა ჯერ არ ნახული ეკონომიური და კულტურული მიღწევები. ჩვენი ქვეყანა დღეს ყოველ მხრივ უზრუნველყოფილია და აყვავებული. ასეთ დროს ჩვენ, ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტებს, გვინდა გვწამდეს, რომ თქვენ ამ გადამწყვეტ ბრძოლაში არ დარჩებით მუშათა ბარიკადების იქით და არც თქვენი მშობელი ერის კეთილდღეობას და არც მთელი ქვეყნის ჩაგრულებს არ დაუშენთ ყუმბარებს.

ჩვენი ამხანაგური მოწოდებაა—დაუკვირდეთ შექმნილ მდგომარეობას და თქვენი, მუშათა და გლეხთა ბატონობის სამშობლოში დაბრუნებით ხელი შეუწყოთ ამ დიად აღმშენებლობას, რომელიც ხდება დღეს ჩვენს ქვეყანაში და მით თქვენი ენერგიაც მოახმაროთ მუშური ხელისუფლების განმტკიცებას კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში.

გაუმარჯოს ჩვენს პროლეტარულ თვითგამორკვევას!

გაუმარჯოს მთლიან ფრონტს მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

**თბილისის ყოფ. ახ. მარქსისტთა აქტივის გაფართოებული თათბირი.**

# ცოტა რამ ზოგიერთი „კლუბების“ შესახებ

საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობაში საკლუბო მუშაობა საკმაოთ თვალსაჩინო როლს თამაშობს. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ დარგში თითქო დღეს ყველაფერი რიგზე იყოს.

ჩვენ აქ მხედველობაში არა გვაქვს მუშათა სათეატრო-სალექციო კლუბები, რომლებიც წმინდა კულტურულ საქმეს ეწევიან და რომლებიც სავსებით ამართლებენ თვის დიდ დანიშნულებას. ჩვენ ვამბობთ იმ კლუბებზე, რომლებიც ყოველგვარ უზნეობას და ბოროტებასაც კი აქვს ადგილი, სადაც შემსვლელი საზოგადოება სულიერი დაქვეითებისა და მრავალ ნაირი დაკნინების მეტს ვერაფერს შეიძენს. ესაა ლოტოს, კარტის, ნარდის, ბაქარას, ე. წ. „პტიშვოს„ და მგზავსთა კლუბები, რომელთა რიცხვი ტფილისში საკმაოთ დიდია.

რა ხდება დღეს ამ კლუბებში და რა მოაქვს მას ჩვენი ხალხისათვის?

საერთოდ, კლუბის დანიშნულებას ჩვენ ვხედავთ მასის კულტურულ გათვითცნობიერებაში და მის მორალურ-იდეურ აღზრდის საქმეში. კლუბი, რომელიც ამ ფუნქციას არა სცნობს და არც ასრულებს—იგი არ არის და არ შეიძლება იყოს საბჭოთა კლუბი.

ჩვენ მიერ მოხსენებული კლუბის ავლა-დიდება კი მარტო ისეთი კულტურული სილატაკით როდი ამოიწურება. იგი ზნეობრივად და ნივთიერად ანადგურებს ხალხს.

ასეთ კლუბში ყოველთვის საღამოს 9 საათიდან—ღამის 4 საათამდინ და ხშირად გათენებამდიც ხედავთ ასეთ სურათს:—აუარებელი, უტევი ხალხი, თამბაქოთ მოწამლული და დახშული ჰაერი, საერთო მღელვარება, იშკილი და აფიორა, ჩხუბი, გოდება და მუქარა, და სხვა ასეთები. აი, ნაწილი იმ საჩუქრებისა, რომელსაც ეს კლუბები აძლევენ ხალხს.

და მერე ვინაა ეს ხალხი?

ხშირად გროშის მძებნელი უმუშევრები, რომლებიც ჭირითა და დაგვით მოპოებულ გროშსაც სტოვებენ ამ პროფესიაში დიდათ დახელოვნებული პირების ხელში და შემდეგ კი შიმშილობენ. კლუბებში ყოველთვის შეხვდებით ისეთ პირებს, რომელსაც აქ თამაში პროფესიათ გაუხდიათ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთ პირებთან მოთამაშე პურის მძებნელები ყოველთვის დამარცხებული გამოდიან; პურის შოვნის მიზნითა შემოსული სტუმარი სუსტი კონკურენტია და ვერც იმ კომბინაციებში ერკვევა, რომელიც გაზეპირებული აქვს ამ კლუბის მუდმივ მოთამაშე სპეცებს.

რისი დასკვნა შეიძლება აქ?

ეს კლუბები მიმართული არიან იმ პირთა ნივთიერი და მორალური კეთილდღეობის წინააღმდეგ, რომლის ქომაგი დღეს თვითონ ხელისუფლებაა. ასეთი კლუბების ინტერესები დღეს ძლიერ შორსაა ხელისუფლების ინტერესებისაგან...

ამ კლუბში თავს იყრის აგრეთვე ზოგჯერ ასე რომ ვთქვათ: ჩვენი ოჯახის ერთობ მახლობელი წევრები მუშები, ღარიბი ახალგაზრდობა, სტუდენტობა...

ეს ჩვენი ძმები, რომლებიც ვითომ „გასართობად“ შედიან კლუბებში, ყოველთვის ჯიბე გათხელებული და მორალურად სულ ერთიანად მოლღილი ბრუნდებიან. ერთმა ჩემმა მეგობარმა სტუდენტმა მიამბო.

— „ფეხსაცმელები და საცვლელი თეთრეულები სავსებით შემომაგლჯა. მქონდა დარჩენილი მხოლოთ ექვსი მანეთი. ვიფიქრე: წავალ კლუბში, ვითამაშებ „პტი-შვოზე“ და თუ მეორე ექვსი მანეთიც მოვიგე, ორთავეს ყიდვას შევძლებ-მეთქი. მეტადრე ამ გადაწყვეტილებას ხელი შეუწყო წარსულში ჩემი ამხანაგის მიერ „პტი-შვო“-ზე ფულის მოგების შემთხვევამ. წავიღე სამი მანეთი და წავედი. მისი წაგებითა ჭკუა დაკარგულმა კარგად არ მახსოვს როგორ მივედი სახლში და წამოვიღე მეორე სამი მანეთიც—დაკარგულის ამოღების მიზნით. ხოლო მახსოვს თუ როგორ დავაპირე მივსულიყავი მასთან, მდგომარეობა ამეხსნა და ჩემი ფულის უკან დაბრუნება და ე. ი. მოწყალება მეთხოვა, მაგრამ აქ თავმოყვარეობის გრძნობამ დამძლია და გაბრუნებული ისევ გამოვედი ქუჩაში“.

დამეთანხმებით, რომ ეს ჩემი მეგობარი სტუდენტი გამონაკლის არ შეადგენს.

დიდი საფრთხეა და მისი უყურადღებოთ დატოვება შეუძლებელია. დღეს საბჭოთა საქართველოში, ასეთ შემთხვევებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ასეთი კლუბების არსებობა—დიდი ნაბიჯია უკან გადადგმული. იგი ჩვენ ხალხს ღუპავს არა მარტო ნივთიერედ, არამედ ფიზიკურადაც. ვის შეუძლია გაითვალისწინოს თუ ერთი თვის განმავლობაში ამ დახშულ დ მოწამლულ ჰაერში რამდენი ხალხის ჯანმრთელობას მიყენებია ზიანი, რამდენის ფილტვები დაზიანებულა. ამ ორნაირ ზარალს ემატება ზნეობრივი ზარალიც. ვინ იცის რამდენი აფიორა და კომბინაციები ითხზება და ყალიბდება აქ, ამ კლუბების მოწამლულ ატმოსფერაში?

კედელზე ამოიკითხავთ, რომ ხელისუფლება უკრძალავს პროფკავშირის, წითელი არმიის და პარტიულ ამხანაგებს ამ კლუბში სიარულს, მაგრამ ყველაფერი ეს კედელზე რჩება.

პრინციპიალურათ ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო თუ ასეთ „გართობაში“ ერთმანეთს „სამსახურს“ გაუწევენ ისეთი პირები, რომლებსაც საბჭ. ხელისუფლებასთან არაფერი საერთო-ჰქონიათ და არც ექნებათ.მაგრამ ჩვენი „მახლობელ ხალხს“ კი ვერ უსურვებთ ასეთი „გასართობებით“ სარგებლობას.

ზემოთ დასახელებული „კლუბები“ უდიდეს ბოროტებას წარმოადგენს და მისი უყურადღებოთ დატოვება ყოვლად შეუძლებელია.

**შოთა გოგუა.**

**სარედაქციო კოლეგია.**

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. № 68.